

# მუსლიმი ახალგაზრდების

## საჭიროებების, კომუნიკაციისა და ინფორმაციის წყაროების კვლევა

აპრილი-მაისი 2017


MDF
მედიის განვითარების ფონდი

Hedayah
countering violent extremism

EUROPEAN UNION

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი

**კითხვარი:** მედიის განვითარების ფონდი (MDF)

**შერჩევის დიზაინი, საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება:** საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი (GIDC)

**დიზაინი:** ბესო დანელია (გარეკანი), მარიამ ცუცქირიძე

პროექტი დაფინანსებულია ჰიდაიას და ევროკავშირის გრანტით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, მიგნებები და რეკომენდაციები ეკუთვნით ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ჰიდაიას და ევროკავშირის პოზიციად.

# სარჩევი

**შესავალი** .......................................................................................................................... 3

ძირითადი მიგნებები

კვლევის მიზნები და ამოცანები

მეთოდოლოგია

I. **სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები** ........................................... 9

II. **მედია და კომუნიკაცია** ........................................................................ 21

2.1. ტელევიზია...................................................................... 30

2.2. ონლაინ გამოცემები ......................................................... 33

2.3. სოციალური მედია............................................................. 35

2.4. რადიო ............................................................................. 45

2.5. ბეჭდვითი მედია ................................................................ 48

2.6. მედია გაშუქება და რესპონდენტთა დამოკიდებულებები............ 49

III. **სტერეოტიპები** ........................................................................... 58

IV. **რელიგია** ................................................................................... 68

V. **პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია**............................................. 81

VI. **დამოკიდებულებები საგარეო პოლიტიკის საკითხების მიმართ**................ 89

## შესავალი

აღნიშნული კვლევა, მედიის განვითარების ფონდის (MDF) დაკვეთით, საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრმა (GIDC), ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის (CVE) საერთაშორისო ცენტრის ჰიდაიას (Hedayah) მხარდაჭერილი პროექტის “მუსლიმი ახალგაზრდობის საჭიროებების, კომუნიკაციისა და ინფორმაციის წყაროების კვლევა” ფარგლებში მოამზადა.

კვლევა 2017 წლის აპრილ-მაისში ქვემო ქართლში, აჭარის მაღალმთიან სოფლებსა და პანკისის ხეობის დასახლებებში 16-29 წლის ახალგაზრდებს შორის ჩატარდა. პირისპირ ინტერვიუს ფორმით კვლევის ფარგლებში სულ 1206 რესპონდენტი გამოიკითხა.

მეთოდოლოგიის მიმოხილვის შემდეგ I ნაწილში წარმოდგენილია რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები; II ნაწილი მთლიანად მედიის და კომუნიკაციის სხვადასხვა სახეებს, ასევე მედია გაშუქებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულებებს ეთმობა; III - სტერეოტიპებს; IV - რელიგიას; V - პოლიტიკურ და სამოქალაქო ინტეგრაციას; VI - დამოკიდებულებებს საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი.

პროექტი, რომელსაც საქართველოში მედიის განვითარების ფონდი ახორციელებს, ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება.

## ძირითადი მიგნებები

### კვლევის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

### მედია და კომუნიკაცია

- მართალია, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (93,9%) ინფორმაციას ძირითადად სახელმწიფო ენაზე - ქართულად იღებს, მაგრამ მეორე ენაზე ინფორმირების მაჩვენებელიც მაღალი (37,1%) და მრავალფეროვანია.
- რუსულენოვანი მედია, როგორც ინფორმაციის მიღების მეორე წყარო დომინირებს პანკისსა (70,6% მათგან, ვინც ინფორმაცია მეორე ენაზეც იღებს) და მაღალმთიან აჭარაში (46,4%), ხოლო აზერბაიჯანული - ქვემო ქართლში (58,6%), სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები კომპაქტურად ცხოვრობენ. თურქული ენა ინფორმირების მეორე წყაროდ მთიან აჭარასა (29%) და ქვემო ქართლში (14,7%) ყველაზე მეტად სახელდება, ხოლო ჩეჩნური (22,5%) - ახმეტაში (პანკისი). ინგლისური ენა, როგორც ინფორმაციის მიღების მეორე წყარო ყველაზე მაღალი მაჩვენებლით მთიან აჭარაში (24,6%) დასახელდა, არაბული კი - ახმეტაში (პანკისი) (5%).
- ყველაზე ხშირად (67,3%) რესპონდენტები ახალ ამბებს საქართველოს ეროვნული დაფარვის მედიასაშუალებებით ეცნობიან, მეორე ადგილზე კი სოციალური მედიაა (46,9%), რომელსაც რეგიონული მედიასაშუალებები (30,7%) მოსდევს.
- ტელევიზია ადგილობრივი ახალი ამბების მთავარ წყაროდ კვლავ დომინინატია (75,5%), თუმცა ონლაინ (53,9%) და სოციალური მედიის (45,7%) როლიც მზარდია, ხოლო ქვემო ქართლში ტელევიზიას ონლაინ მედია უსწრებს (84,6%). საკმაოდ მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი (41,6%), ვინც ქალაქის/დასახლებული პუნქტის შესახებ ინფორმაციას ახლობლებისგან (ნაცნობები/მეზობლები) იღებს. ამასთან, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ახმეტაშია (პანკისი) (55.8%).
- ადგილობრივი ინფორმაციის მთავარ წყაროდაც ყველაზე ხშირად ახალგაზრდების უმეტესობა (71,3%) ახლობლებს (ნაცნობები/მეზობლები) ასახელებს, რომელსაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ადგილობრივი მედია (29,4%) და სოციალური ქსელები (25,9%). გამონაკლისია ქვემო ქართლი, სადაც ახლობლებზე მეტად ადგილობრივ ოფიციალურ ინფორმაციას ახალგაზრდების 63.2% ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური გვერდებიდან იღებს, რაც ამ რეგიონიდან სტუდენტი რესპონდენტების მონაწილეობით შეიძლება აიხსნას.
- საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის წყაროდ ქართულენოვანი ნაციონალური დაფარვის არხებიდან რუსთავი 2 (85,5%) და იმედი (82,7%) ლიდერობენ; რეგიონული არხებიდან - აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი (42,5%), რომელსაც ძირითად მთიან აჭარაში უყურებენ (87,1%), თუმცა არხს თითქმის თანაბარი მაჩვენებლით ახმეტასა (პანკისი) (9,6%) და ქვემო ქართლშიც (9%) ასახელებენ.

- რუსულენოვანი არხებიდან ყველაზე ხშირად რუსეთის "პირველი არხი"/Первый канал (პასუხების 37.1%), НТВ (36.2%) და РТР (29%) დასახელდა; სხვა უცხოურენოვანი არხებიდან კი - ბრიტანული BBC (პასუხების 25.9%), თურქულენოვანი A TV (21,3%) და TRT 1 (20.4%).

- ქვემო ქართლში ონლაინ გამოცემებიდან ქართულენოვან მედიებზე წინ აზერბაიჯანული oxu.az და big.az-ს, ასევე თურქულენოვან Cumhuriyet.com.tr და Milliyet.com.tr-ს ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლსა და მთიან აჭარაში პრორუსული სარედაქციო პოლიტიკის ქართულენოვანი ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიო", ასევე რუსეთის მთავრობის მიერ დაფუძნებული ქართულენოვანი გამოცემა "სპუტნიკ-საქართველოც" დასახელდა. მთიან აჭარაში კი, სადაც ყველაზე ნაკლებ ეცნობიან ონლაინ გამოცემებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით "ნეტგაზეთი" და "საქართველო და მსოფლიო" დასახელდა.

- სოციალური ქსელებიდან ყველაზე პოპულარულია Facebook-ი (92.9%), Instagram-ი (30%) და რუსულენოვანი Odnoklassniki-ია (25,4%). ამასთან Odnoklassniki-ს სხვა რეგიონებთან შედარებით მთიან აჭარაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (41.2%) აქვს. პანკისში, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, დამატებით დასახელდა Whatsapp (15.7%), რომელიც მართალია სოციალური ქსელი არ არის, თუმცა, რესპონდენტებმა ის სხვადასხვა თემატურ ჩატებში ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობად მიუთითეს. ქვემო ქართლში კი დამატებით დასახელდა Vkontakte.ru- (19%) და Twitter-ი (18%).

- Facebook-ის თემატური ჯგუფები, რომლებშიც რესპონდენტები არიან გაერთიანებული, მეტწილად გასართობი შინაარსისაა (57,1%), 36,5% - საგანმანათლებლო, ხოლო 24,7% - რელიგიური. დახურული თემატური ჯგუფების არსებობას ყველაზე ხშირად ახმეტასა (პანკისი) (33.3%) და ქვემო ქართლში (32.6%) აღნიშნავდნენ.

- ზოგადად რადიოს ინფორმაციის მისაღებად რესპონდენტთა უმრავლესობა ნაკლებად იყენებს. ქვემო ქართლში ყველაზე ხშირად უსმენენ რადიო "იმედს" (პასუხების 16.4%) და მარნეულის სათემო რადიოს (15.4%); ახმეტაში (პანკისი) - პანკისის სათემო რადიოს/Radio Way (13%), აჭარაში - რადიო „აჭარას" ( 9.7%).

- რადიოს მსგავსად რესპონდენტები ნაკლებად ეცნობიან ბეჭდვით გამოცემებს, მათგან კი გაზეთი "კვირის პალიტრა" ლიდერობს.

- გამოვლინდა სუსტი, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ორ ცვლადს შორის: ის რესპონდენტები, რომლებიც უფრო ხშირად ეცნობიან ახალ ამბებს სხვადასხვა წყაროებით, შედარებით იშვიათად მონაწილეობენ რელიგიურ რიტუალებში.

- რესპონდენტთა 33.3% მიიჩნევს, რომ მედია საქართველოს მუსლიმი თემის ცხოვრებას, ტრადიციებსა და პრობლემებს დადებითად აშუქებს, მაგრამ ეს მათ შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად არასაკმარისია; ხოლო 29.7% ფიქრობს, რომ მედია გაშუქება საზოგადოებას მუსლიმი თემის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენას უქმნას.

- გაშუქების მხრივ მთავარ პრობლემად რესპონდენტები მუსლიმების ტერორისტებთან გაიგივებას, მათ თათრებად, მოძალადეებად მოხსენიებას ასახელებენ. პრობლემურად მიიჩნევენ ასევე რელიგიურ ნიადაგზე არსებული კონფლიქტების გაშუქების ცალკეულ შემთხვევებს.

- მედიის თვითრეგულირების ორგანოების შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობა დაბალია (15%), ხოლო თვითრეგულირების ორგანოებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირე - 1%.

## სტერეოტიპები

- რესპონდენტთა 30,7% მიიჩნევს, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა ღირებულებები ძალზედ განსხვავებულია, შედარებით ნაკლები (10,8%) კი თვლის, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ; 35,7% ფიქრობს, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები საკმარისად სცემენ ერთმანეთს პატივს, ხოლო დომინანტი რელიგია ამ მხრივ გამონაკლისია.
- ახმეტაში (პანკისი) მეტად ემხრობიან მოსაზრებას, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება აძლიერებს ქვეყანას (საშუალო 4.49), ვიდრე ქვემო ქართლსა (4.21) და მაღალმთიან აჭარაში (3,81) .
- ახმეტაში (პანკისი) ყველა ჯგუფის მიმართ მიმღებლობა უფრო მაღალია, ხოლო სხვა სექსუალური იდენტობის ჯგუფების მიმართ - ყველაზე დაბალი (1.46). ქვემო ქართლში სხვა სქესის წარმომადგენლების მიმართ მიმღებლობა უფრო დაბალია (3.53%), ვიდრე ახმეტასა(პანკისი) (4.78%) და მაღალმთიან აჭარაში (4,71%).

## რელიგია

- რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (48.3%) ყოველ დღე მონაწილეობს რელიგიურ მსახურებაში. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ახმეტაშია (პანკისი) (92.6%), ხოლო ქვემო ქართლში, სტუდენტ რესპონდენტთა შორის - ყველაზე დაბალი (6%).
- გამოვლინდა *სუსტი* კავშირი ორ ცვლადს - განათლების დონესა და რელიგიური რიტუალების შესრულების სიხშირეს - შორის. კერძოდ, რაც უფრო დაბალია განათლების საფეხური, მით უფრო ხშირად მონაწილეობენ რესპონდენტები რელიგიურ რიტუალებში.

- რესპონდენტთა დიდ ნაწილს საჭიროდ მიაჩნია რელიგიური განათლების მიღება (85.9%). ახმეტაში(პანკისი) ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (95.8%), ქვემო ქართლში კი - ყველაზე დაბალი (75,6%).

- რელიგიურ საკითხებზე ინფორმაციის მიღების სხვა დამატებით წყაროებად დასახელდა ოჯახი (79,9%), თვითგანათლება (34,9%) და მეგობრები (29.8%). ასევე დასახელდა სოციალური ქსელები (26.3%) და ონლაინ მედია (19,1%).

## პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია

- რესპონდენტთა 76.5% ფიქრობს, რომ მისმა ხმამ შეიძლება არჩევნების შედეგებზე იმოქმედოს.
- რაც უფრო მაღალია რესპონდენტის სამოქალაქო აქტივობის ხარისხი, მით ნაკლებად მონაწილეობს ის რელიგიურ რიტუალებში.

## დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხების მიმართ

- თითქმის თანაბარი მხარდაჭერით სარგებლობს საქართველოს ევროკავშირსა (3,90) და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების (3,89) ინიციატივა და ყველაზე ნაკლებ მხარდაჭერილია ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის იდეა (2,63).

## კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრები მუსლიმი ახალგაზრდების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ველის შესწავლა.

*კვლევის ამოცანას წარმოადგენდა შემდეგი საკითხების შესწავლა:*

- რა ენებზე იღებენ ინფორმაციას მუსლიმი ახალგაზრდები;
- როგორია სახელმწიფო ენის ფლობის ხარისხი;
- რა მიზნით იყენებენ ტრადიციულ და ახალ მედიას;
- რომელი მედია საშუალებებით ეცნობიან ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების, მსოფლიოში, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების, ასევე რელიგიური საკითხების შესახებ;
- რამდენად უწყობს ხელს მედია მუსლიმი თემის მიმართ სტერეოტიპების გამყარებას, არის თუ არა დისკრიმინაციის წყარო ან გამტარი;
- რამდენად ეფექტიანია მედიის თვითრეგულირების მექანიზმები.

საინფორმაციო ველის შესწავლის გარდა, კონტექსტუალური ანალიზისთვის მოხდა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა:

- რამდენად მიუწვდებათ ხელი რესპონდენტებს რელიგიურ განათლებაზე;
- როგორია რელიგიის საკითხების მიმართ მათი დამოკიდებულებები და ხედვა რელიგიური უფლებების დაცულობის კუთხით;
- გენდერულ საკითხებთან დამოკიდებულება;
- სამოქალაქო აქტივიზმის ხარისხი;
- დამოკიდებულება პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისადმი;
- დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხების მიმართ.

## მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ.

კვლევის ინსტრუმენტი: სტრუქტურირებული ანკეტა, დახურული და ღია კითხვების გამოყენებით.

შერჩევის ზომა: 1206 დასრულებული ინტერვიუ.

სამიზნე ჯგუფი: კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს სამ რეგიონში - ქვემო ქართლში, აჭარის მაღალმთიან სოფლებსა და პანკისის ხეობის დასახლებებში მცხოვრები 16-29 წლის ახალგაზრდები. კვლევის შედეგად მიღებული დემოგრაფიული მონაცემები (ასაკი, სქესი) მაქსიმალურად მიახლოებულია 2014 წლის აღწერის შედეგების სტატისტიკურ მაჩვენებლებს.[1]

კვლევის გეოგრაფიული არეალი: ქვემო ქართლი, მაღალმთიანი აჭარა, ახმეტა (პანკისი), სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული მუსლიმი თემის წარმომადგენლები.[2]

ცხრილი 1. რესპონდენტთა განაწილება რეგიონების მიხედვით

| რეგიონი | რესპონდენტთა რაოდენობა |
|---|---|
| ქვემო ქართლი | 201 |
| მთიანი აჭარა | 505 |
| ახმეტა(პანკისი) | 500 |
| სულ: | 1206 |

**შერჩევის ფორმირების პროცესი:** საქართველოში მუსლიმი თემის წარმომადგენლები ძირითადად არიან აჭარაში მცხოვრები ეთნიკური ქართველები[3], ქვემო ქართლში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები[4] და ეთნიკური ქისტები, რომლებიც კომპაქტურად კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი პანკისის ხეობაში

---

[1] მოსახლეობის საყოველთაო აღწერა (2014), მოსახლეობა რეგიონში - 333 953, მათ შორის 132 852 მუსლიმი http://census.ge/ge/results/census1

[2] http://census.ge/ge/results/census1/demo

[3] წყარო: http://census.ge/ge/results/census1/demo

[4] საყოველთაო აღწერა: მოსახლეობა რეგიონში - 423 986, მათ შორის 182 216 მუსლიმი

ცხოვრობენ[5]. შერჩევის ფორმირებისას გამოყენებული იქნა განსხვავებული მიდგომა რეგიონების მიხედვით.

შერჩევის მოცულობის ფორმირება 2014 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით მოხდა: არსებული დასახლებული პუნქტების სიიდან, მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, თითოეულ რეგიონში 10-10 დასახლებული პუნქტი შეირჩა. დასახლებული პუნქტისთვის სამიზნე ასაკის რაოდენობის პროპორციულად შერჩევის მოცულობად 1206 რესპონდენტი განისაზღვრა. ვინაიდან 2014 წლის აღწერის მონაცემები არ მოიცავს ინფორმაციას აღმსარებლობის შესახებ სოფლების მიხედვით, აჭარაში საველე სამუშაოების პროცესში შერჩევის კორექტირება სოფლების დონეზე მოხდა და ნაცვლად წინასწარ შერჩეული 10 დასახლებული პუნქტისა, გამოკითხვა 22 თემის 43 დასახლებულ პუნქტში ჩატარდა. ახმეტაში (პანკისი) ახალგაზრდები პანკისის ხეობის 11 სოფელში, ხოლო ქვემო ქართლში 6 მუნიციპალიტეტის 10 დასახლებულ პუნქტში გამოიკითხა.

ცდომილება შერჩევის აღნიშნული მოცულობისთვის (1206 რესპონდენტი) ±2,8% შეადგენს.

სამიზნე რესპონდენტის შერჩევისთვის, თითოეულ ინტერვიუერს ჰქონდა მარშრუტი, საწყისი წერტილით და შერჩევის წინასწარ განსაზღვრული ბიჯით. თითოეულ დასახლებულ პუნქტში საწყის წერტილად ადმინისტრაციულ შენობასთან (საჯარო სკოლა) ყველაზე ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლი შეირჩა. ყოველი შემდეგი შერჩევის წერტილისთვის განისაზღვრა ბიჯი 3 (ყოველი მესამე სახლი). შერჩეულ ოჯახში რესპონდენტის გამოკითხვა ხდებოდა: 1. ფილტრი კითხვის, 2. სამიზნე ასაკის მიხედვით. 3. ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემის გამოკითხვა 1+4 სახელმწიფო პროგრამის[6] ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტებიდან მოხდა.

საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელების შერჩევისას განსხვავებული მიდგომის გამოყენება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ენობრივი ბარიერის გამო, ქვემო ქართლის სოფლებში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია დაბალია. მოცემულ შემთხვევაში შერჩევა მოხდა იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც ინტეგრაციის შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ამან საშუალება მოგვცა, მოგვეხდინა კვლევის სხვა სამიზნე აუდიტორიასთან შედარება არა მხოლოდ რეგიონულ ჭრილში, არამედ ინტეგრაციის ხარისხისა და განათლების მიღწეული საფეხურის მიხედვით, დაგვედგინა კორელაცია განათლების და ინტეგრაციის ხარისხის ცვლადის მიხედვით სხვადასხვა საკვლევ საკითხთან მიმართებით.

---

[5] საყოველთაო აღწერა: მოსახლეობა რეგიონში - 318 583, მათ შორის 38 683 მუსლიმი.

[6] 2010 წელს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილებები განსხვავებულ რეჟიმს აწესებს ეთნიკური უმცირესობებისთვის. კერძოდ, სხვა სტუდენტებისგან განსხვავებით, ისინი აბარებენ მხოლოდ 1 გამოცდას ზოგად უნარებში აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. 1 წლის განმავლობაში გადიან ქართული ენის კურსს და შემდეგ აგრძელებენ სწავლას ბაკალავრიატში.

## I. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

რესპონდენტთა უმრავლესობა - 87.8% - აცხადებს, რომ ის მუსლიმი სუნიტია, 10.5% - მუსლიმი შიიტი, 1.2% უარყოფს რელიგიურ დაყოფას და აცხადებს, რომ მუსლიმია (თვითიდენტიფიცირებით), ხოლო 0.5% - მუსლიმი სალაფიტი.

დიაგრამა 1. **აღმსარებლობა თვითიდენტიფიცირებით**




*მონაცემები რეგიონულ ჭრილში* რელიგიური აღმსარებლობის შესახებ პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

- **ქვემო ქართლი:** მუსლიმი შიიტი 61,2% (N=123), მუსლიმი სუნიტი 32,8% (N=66), მუსლიმი სალაფიტი 0,5% (N=1), მუსლიმი 5,5% (N=11).
- **აჭარა:** მუსლიმი სუნიტი 99,2% (N=501), მუსლიმი 0,8% (N=4).
- **ახმეტა (პანკისი):** მუსლიმი შიიტი 0,6% (N=3), მუსლიმი სუნიტი 98,4% (N=492), მუსლიმი სალაფიტი 1% (N=5).

**სქესის მიხედვით რესპონდენტთა განაწილება თანაბარია:** 49.9% (N=602) გოგო და 50.1% (N=604) ბიჭი.

დიაგრამა 2. **რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით**



*საშუალო ასაკი.* 22 წელი.

**დიაგრამა 3. ასაკობრივი ჯგუფების განაწილება - მთლიანი შერჩევა**




***ეთნიკური იდენტობა.*** რესპონდენტთა 41.9% ეთნიკურად ქართველია, 40.8% - ქისტი, 16.7% - აზერბაიჯანელი, ხოლო 0.6% - ჩეჩენი.

**ცხრილი 2. რესპონდენტთა ეთნიკური იდენტობა**

| ეთნიკური იდენტობა | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| ქართველი | 505 | 41.9 |
| აზერბაიჯანელი | 201 | 16.7 |
| ქისტი | 492 | 40.8 |
| ჩეჩენი | 8 | 0.6 |
| **სულ:** | 1206 | 100 |

***განათლება.*** რესპოდენტთა უმეტესობას საშუალო (36,2%) და არასრული საშუალო (ნებისმიერი საფეხური 6-11 კლასამდე) (29.7%) განათლება აქვს; სახელობო სასწავლებლის/კოლეჯის სტუდენტი - 1.7%-ია, ხოლო სახელობო სასწავლებლის/კოლეჯის კურსდამთავრებული - 3.6%. ბაკალავრიატის სტუდენტი რესპონდენტთა 21%-ია, ხოლო კურსდამთავრებული - 5.1%. შერჩევის დიზაინის გამო, განათლების ცენზი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია.

**დიაგრამა 4. რესპონდენტთა განათლების ცენზი რეგიონების მიხედვით**




გამოკითხულთაგან მხოლოდ 78 რესპონდენტს (6.5%) უსწავლია საზღვარგარეთ. ყველაზე მეტს - 22,4%-ს უცხოეთში ქვემო ქართლიდან უსწავლია, აჭარაში ეს მაჩვენებელი 4.4%-ია, ხოლო ახმეტაში - 2.2%.

დიაგრამა 5. **უცხოეთში სწავლის გამოცდილება**




ქვემო ქართლში გამოკითხულ რესპონდენტთა 60%-მა უცხოეთში განათლების მიღების ადგილად აზერბაიჯანი დაასახელა; აჭარაში - თურქეთი (81,8%), ხოლო ახმეტაში - რუსეთი (40%) და ჩეჩნეთი (40%). შედარებით ნაკლებია იმ რესპონდენტთა რიცხვი (4,4% ქვემო ქართლიდან), ვინც განათლების მიღების ადგილად დასავლეთის ქვეყნები - აშშ, გერმანია და საფრანგეთი - დაასახელა.

უცხოეთში სწავლის საშუალო ვადად რესპონდენტებმა 2,5 წელი დაასახელეს.

ცხრილი 3. **უცხოეთში სწავლის გამოცდილება ქვეყნების და რეგიონების მიხედვით**

| ქვეყნები | მთლიანი შერჩევა | | ქვემო ქართლი | | მაღალმთიანი აჭარა | | ახმეტა (პანკისი) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| **აზერბაიჯანი** | 27 | 35,1% | 27 | 60,0% | - | - | - | - |
| **თურქეთი** | 26 | 33,8% | 6 | 13,3% | 18 | 81,8% | 2 | 20.0% |
| **რუსეთი** | 17 | 22,1% | 13 | 28,9% | - | - | 4 | 40,0% |
| **ჩეჩნეთი** | 4 | 5,2% | - | - | - | - | 40 | 40,0% |
| **ამერიკა** | 3 | 3,9% | 2 | 4,4% | 1 | 4.5% | - | - |
| **გერმანია** | 2 | 2,6% | 2 | 4,4% | - | - | - | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საფრანგეთი** | 2 | 2,6% | 2 | 4,4% | - | - | - | - |
| **ბალორუსია** | 1 | 1,3% | 1 | 2,2% | - | - | - | - |
| **ირანი** | 1 | 1,3% | 1 | 2,2% | - | - | - | |
| **უკრაინა** | 1 | 1,3% | - | - | 1 | 4.5% | - | - |
| **ბულგარეთი** | 1 | 1,3% | - | - | 1 | 4.5% | - | - |
| **პოლონეთი** | 1 | 1,3% | - | - | 1 | 4.5% | - | - |
| **არაბეთი** | 1 | 1,3% | - | - | - | - | 1 | 10.0% |

***ენების ცოდნა თვითშეფასებით***. კვლევის ფარგლებში რესპონდენტები აფასებდნენ ენების ცოდნას თვითშეფასებით 5 ბალიან სკალაზე[7]. მთლიანობაში, ქართული ენის ცოდნა ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით (4.3) შეფასდა.

- ***ქვემო ქართლში*** ქართული ენის ცოდნის საშუალო მაჩვენებელი სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დაბალია და 3.5-ს შეადგენს. პირველ და მეორე ადგილზეა აზერბაიჯანული (4.9) და თურქული (4.3) ენები. ამავე დროს, სხვა რეგიონებთან შედარებით, ინგლისურისა და რუსულის ცოდნა შედარებით მაღალი, თუმცა საშუალოზე დაბალია (ინგლისური - 2.3, რუსული - 2.4).
- ***ახმეტაში (პანკისი)*** რესპონდენტებმა ყველაზე მაღალი ქულით ჩეჩნური ენის ცოდნა შეაფასეს (4.5), რომელსაც ქართული ენა მოსდევს (4.1).
- ***აჭარაში*** რესპონდენტებმა ქართული ენის ცოდნა ყველაზე მაღალი ქულით (4,9) შეაფასეს, ხოლო ელემენტარულის დონეზე - თურქული (1.7).

---

[7] 1 - არ მაქვს საუბრის უნარები; 2 - ელემენტარული დონე (შემიძლია მინიმალური კომუნიკაცია უცხოეთში მოგზაურობისას); 3 - საშუალო (შემიძლია ყოველდღიური, მარტივი კომუნიკაცია სამსახურებრივ/პირად ურთიერთობებში); 4 - კარგი (შემიძლია გამართულად საუბარი ფორმალურ/არაფორმალურ სიტუაციაში); 5 - პროფესიული დონე (შემიძლია სრულყოფილად და პროფესიულ დონეზე საუბარი).

დიაგრამა 6. **ენების ცოდნა თვითშეფასებით**




***დასაქმება.*** გამოკითხულთა მესამედზე ოდნავ ნაკლები უმუშევარია (32,2%), 27,8% - დასაქმებული, ხოლო 39.4% სტუდენტი ან მოსწავლეა.

დიაგრამა 7. **დასაქმება რეგიონების მიხედვით**




ქვემო ქართლის მონაცემები დასაქმებასთან დაკავშირებით, შერჩევის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავდება დანარჩენი რეგიონების მონაცემებისაგან.

დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის, 15.5% - სახელმწიფო, ხოლო 18.7% კერძო სექტორში მუშაობს, თვითდასაქმებულთა წილი (43.8%) კი ყველაზე მაღალია.

ცხრილი 4.[8] **დასაქმების სფეროები**

| დასაქმება სფეროების მიხედვით | მთლიანი შერჩევა | | ქვემო ქართლი | | მაღალმთიანი აჭარა | | პანკისი (ახმეტა) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაში | 147 | 43.8 | 2 | 5.7 | 81 | 44.1 | 64 | 54.7 |
| დასაქმებული კერძო სექტორში | 63 | 18.7 | 6 | 17.1 | 40 | 21.7 | 17 | 14.5 |
| მუდმივად დასაქმებული საჯარო სექტორში | 52 | 15.5 | 7 | 20 | 31 | 16.8 | 14 | 12.0 |
| სეზონურად დასაქმებული | 34 | 10.1 | 4 | 11.4 | 18 | 9.8 | 12 | 10.3 |
| დროებით დასაქმებული | 24 | 7.1 | 13 | 37.1 | 5 | 2.7 | 6 | 5.1 |

[8] ცხრილი არ მოიცავს სტაჟიორების რაოდენობას (7 რესპონდენტი)

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტუდენტი | | | | | | | | |
| თვითდასაქმებული საკუთარ ბიზნესში | 16 | 4.8 | 3 | 8.7 | 9 | 4.9 | 4 | 3.4 |

***ფინანსური მდგომარეობა.*** ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას და შემოსავლებს რესპონდენტები დამაკმაყოფილებლად (43%) ან საშუალოდ (38,2%) აფასებენ.
ყველაზე მეტი რესპონდენტი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას საშუალოდ აფასებს აჭარაში (46,5%), ხოლო დამაკმაყოფილებლად - ქვემო ქართლში (65.7%); ყველაზე ცუდად - აჭარასა (14.9%) და ახმეტაში (13.4%).

დიაგრამა 8. **ოჯახის ფინანსური მდგომარეობის და შემოსავლების აღქმა**




იმისთვის, რომ ოჯახმა ფული თავისუფლად დახარჯოს, რესპონდენტთა აზრით, საშუალოდ მათ 2151 ლარი სჭირდებათ. ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხად საშუალოდ 1179 ლარი დასახელდა; ყოველდღიური საჭიროებების ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად -765 ლარი, ხოლო მხოლოდ კვებაზე - 541 ლარი.

რესპონდენტები უმეტესად აღნიშნავენ, რომ მათი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გასული 12 თვის განმავლობაში იგივე დარჩა/არ შეცვლილა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები რეგიონებს შორის არ გამოვლენილა.

**დიაგრამა 9. ფინანსური მდგომარეობის ცვლილება 1 წლის განმავლობაში**




ის რესპონდენტები, ვისი ოჯახის მდგომარეობაც ბოლო 12 თვის განმავლობაში გაუარესდა, 80,2% შემთხვევაში მიზეზად ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებენ; ხოლო გაუმჯობესების შემთხვევაში - ოჯახის წევრის(ების) მიერ სამსახურის დაწყებას (53,8%) და 12,6% - უცხოეთში მცხოვრები ნათესავის დახმარებას.

დიაგრამა 10. **ფინანსური მდგომარეობის გაუარესების/გაუმჯობესების მიზეზები**




***უცხოეთში მოგზაურობა.*** რესპონდენტთა 49% (N=594) აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ უმოგზაურია. აქედან კონკრეტული ქვეყანა 587-მა რესპონდენტმა დაასახელა. ყველაზე ხშირად მათ თურქეთი (73,4%, N=431), აზერბაიჯანი (22.3%, N=131) და რუსეთი (12,4%, N=73) დაასახელეს.

დიაგრამა 11. **საზღვარგარეთ მოგზაურობა**[9]




შეკითხვაზე - რომელ ქვეყანაში გიმოგზაურიათ - ქვემო ქართლის რესპონდენტები (149-დან 147 ასახელებს) მეტწილად ასახელებენ აზერბაიჯანს (78,2%), თურქეთსა (34,7%) და რუსეთს (22,4%); აჭარაში (333-დან ასახელებს 330) 98.2% - თურქეთს; ახმეტაში (პანკისი) (112-დან ასახელებს 110) 50,9%- თურქეთს, 31,8%- რუსეთს და 20,9%- ჩეჩნეთს (რუსეთის ფედერაცია).

ცხრილი 5. **საზღვარგარეთ მოგზაურობა რეგიონების მიხედვით - შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის არჩევა**

| | ქვემო ქართლი | | მაღალმთიანი აჭარა | | ახმეტა(პანკისი) | | მთლიანი შერჩევა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| **თურქეთი** | 51 | 34,7% | 324 | 98,2% | 56 | 50,90% | 431 | 73,4% |

[9] სხვაში გაერთანებულია დასახელებული 17 ქვეყნის მონაცემი, რომელიც 1%-ზე ნაკლებმა რესპონდენტმა დაასახელა: ჩეხეთი, პოლონეთი, საუდის არაბეთი დუბაი, საფრანგეთი, ყაზახეთი, დანია, იტალია, ერაყი, სლოვაკეთი, ჩინეთი, შვედეთი, მოლდოვა, ბულგარეთი, ესპანეთი, მალტა, სომხეთი.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აზერბაიჯანი** | 115 | 78,2% | 3 | 0,90% | 13 | 11,80% | 13<br>1 | 22,3% |
| **რუსეთი** | 33 | 22,4% | 5 | 1,50% | 35 | 31,80% | 73 | 12,4% |
| **გერმანია** | 3 | 2,0% | 11 | 3,30% | 10 | 9,10% | 24 | 4,1% |
| **ჩეჩნეთი** | - | - | - | - | 23 | 20,9% | 23 | 3,9% |
| **ირანი** | 7 | 4,8% | 4 | 1,20% | - | - | 11 | 1,9% |
| **უკრაინა** | 2 | 1,4% | 4 | 1,2% | 3 | 1,80% | 9 | 1,5% |
| **ბელარუსი** | 3 | 2,0% | - | - | 3 | 2,70% | 6 | 1,0% |
| **აშშ** | 2 | 1,4% | 2 | 0,60% | 2 | 1,80% | 6 | 1,0% |
| **ჩეხეთი** | - | - | 5 | 1,50% | | | 5 | ,9% |
| **პოლონეთი** | - | - | 2 | ,6% | 2 | 1,8% | 4 | ,7% |
| **ყაზახეთი** | 1 | ,7% | - | - | 2 | 1,8% | 3 | ,5% |
| **საფრანგეთი** | 2 | 1,4% | - | - | 1 | 1,80% | 3 | ,5% |
| საუდის არაბეთი დუბაი | - | - | 2 | 0,60% | 1 | 0,90% | 3 | ,5% |
| **ჩინეთი** | 1 | ,7% | 1 | 0,30% | - | - | 2 | ,3% |
| **სლოვაკეთი** | - | - | 2 | 0,60% | - | - | 2 | ,3% |
| **ერაყი** | - | - | 2 | ,6% | - | - | 2 | ,3% |
| **იტალია** | - | - | 1 | ,3% | 1 | ,9% | 2 | ,3% |
| **დანია** | - | - | | | 2 | 1,8% | 2 | ,3% |
| **ეგვიპტე** | - | - | 1 | 0,30% | - | - | 1 | ,2% |
| **სომხეთი** | - | - | 1 | ,3% | - | - | 1 | ,2% |
| **მალტა** | - | - | 1 | 0,30% | - | - | 1 | ,2% |
| **ესპანეთი** | - | - | 1 | 0,30% | - | - | 1 | ,2% |
| **ბულგარეთი** | - | - | 1 | ,3% | | | 1 | ,2% |
| **მოლდოვეთი** | - | - | - | - | 1 | 0,90% | 1 | ,2% |
| **შვედეთი** | - | - | - | - | 1 | ,9% | 1 | ,2% |

ის რესპონდენტები, ვინც ყოფილა საზღვარგარეთ, მოგზაურობის მიზნად ყველაზე ხშირად სამუშაო ვიზიტს (55,9%), ტურიზმსა (25,7%) და ახლობლის/ნათესავის მონახულებას (23,2%) ასახელებს. ყველაზე ხშირად რესპონდენტები სამუშაოდ (N=295) სტუმრობენ თურქეთს. ახლობლის/ნათესავის მოსანახულებლად რესპონდენტები უმეტესად სტუმრობენ აზერბაიჯანს (N=71, თურქეთს (N=71), რუსეთსა (N=25) და ჩეჩნეთს (N=12).

**დიაგრამა 12. საზღვარგარეთ მოგზაურობის მიზანი - შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის არჩევა**




## II. მედია და კომუნიკაცია

***ინფორმაციის ენა.*** მთლიანობაში რესპონდენტთა 93.9% ინფორმაციას ძირითადად ქართულ ენაზე იღებს.

აჭარასა და ახმეტაში (პანკისი) რესპონდენტთა  აბსოლუტური უმრავლესობა ინფორმაციის მიღების ძირითად ენად ქართულს ასახელებს (99.4% და 99% შესაბამისად);  ქვემო ქართლში 67.1% - ქართულს,  23.4%  - აზერბაიჯანულს, 6% - რუსულს, ხოლო 3% - თურქულს. პანკისში 0,4% ინფორმაციას ძირითადად ჩეჩნურ ენაზე იღებს, 0,6% - რუსულად. მთიან აჭარაში ინფორმაციის მიღების ძირითად ენად რუსულს 0,4 % ასახელებს, 0,2% კი - ინგლისურს.

**დიაგრამა 13. ინფორმაციის მიღების ძირითადი ენები რეგიონების მიხედვით**




გამოკითხულთა 37,1% ინფორმაციას მეორე ენაზეც იღებს. მათი 39.1% მეორე ენად რუსულს, 25,1% - აზერბაიჯანულს, 11,3% - თურქულს, ხოლო 5.6% - ინგლისურს ასახელებს. იმ რესპონდენტების 70.6%, ვინც მეორე ენაზეც იღებს ინფორმაციას, რუსულს ასახელებს, ხოლო 22.5% - ჩეჩნურს.

აჭარაში მეორე ენაზე ინფორმაციას მხოლოდ 13.7% იღებს, მათი 46.4% - რუსულს, 29% - თურქულს, ხოლო 24.6% - ინგლისურს ასახელებს.

ქვემო ქართლში ინფორმაციას მეორე ენაზე რესპონდენტთა 95% იღებს, მათგან 58.6% - აზერბაიჯანულად, 18.8% - ქართულად, ხოლო 14.7% - თურქულად.

ახმეტაში (პანკისი) ინფორმაციას მეორე ენაზეც 37,4% იღებს. მათგან 70,6% - რუსულს, 22,5% კი ჩეჩნურს ასახელებს.

**დიაგრამა 14. ინფორმაციას მიღების მეორე ენა**




***მედიის გამოყენების მიზნები.*** რესპონდენტების 96,3% აღნიშნავს, რომ მედიას ახალი ამბების გასაცნობად იყენებს, 51% - გასართობად, 33,7% - კომუნიკაციის, ხოლო 32,4% - შემეცნებითი მიზნებით. სხვა რეგიონებთან შედარებით კომუნიკაციის მიზნით მედიას ყველაზე მეტად (42.2%) ახმეტაში (პანკისი) იყენებენ.

დიაგრამა 15. **მედიის გამოყენების მიზანი - შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის არჩევა**




***ინტერნეტზე წვდომა.*** ინტერნეტით სარგებლობს რესპონდენტთა 93.8% (N 1131), აქედან ქვემო ქართლში - 99.5%, ახმეტაში (პანკისი) -95.8%, ხოლო მაღალმთიან აჭარაში - 89.5%.

გამოკითხულთა უმეტესობა (62,8%) აცხადებს, რომ ინტერნეტს ყველაზე ხშირად სხვადასხვა სოციალური ქსელით კონტაქტის დასამყარებლად, მოსაზრებების გამოსათქმელად და ინფორმაციის მისაღებად იყენებს. 30,7% ეცნობა სხვის ბლოგებს, ხოლო 29,4% ელექტრონული ფოსტით სარგებლობს.

**დიაგრამა 16. ინტერნეტის მოხმარების მიზნები**




როგორც დიაგრამა 17-ზე ჩანს, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მრავალფეროვანი მიზნებისთვის ინტერნეტს რესპონდენტები ქვემო ქართლში იყენებენ.

**დიაგრამა 17. ინტერნეტის მოხმარება რეგიონების მიხედვით**



***ონლაინ თამაშები.*** იმ რესპონდენტებიდან, ვისაც ინტერნეტზე წვდომა აქვს, ინტერნეტს ონლაინ თამაშებისთვის 13.2% იყენებს, ხოლო 2.7% ონლაინ კაზინოში თამაშობს.

ქვემო ქართლში ინტერნეტზე წვდომის მქონე რესპონდენტების 25.5% თამაშობს ონლაინ თამაშებს, მთიან აჭარაში - 16,6%, ახმეტაში (პანკისი) - 4.6%. ინლაინ კაზინოში თამაშობს: ქვემო ქართლი - 4.5%, აჭარა - 5%, ახმეტა (პანკისი) – 0.2%.

***ახალი ამბების წყაროები.*** ყველაზე ხშირად (67,3%) რესპონდენტები ახალ ამბებს საქართველოს ეროვნული დაფარვის მედიასაშუალებებით ეცნობიან, რასაც სოციალური მედია (46,9%) და საქართველოს რეგიონული მედიასაშუალებები (30,7%) მოსდევს.

ცხრილი 6. **ინფორმაციის მიღების არხები -მთლიანი შერჩევა**

| | ხშირად | იშვიათად | არასდროს | უარი პასუხზე |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს ეროვნული დაფარვის მედიასაშუალებები | 67.3 | 26.1 | 6.2 | 0.4 |
| საქართველოს რეგიონული მედიასაშუალებები | 30.7 | 22.6 | 46.4 | 0.3 |
| რუსულენოვანი მედიასაშუალებები | 3.6 | 12.2 | 83.8 | 0.4 |
| აზერბაიჯანული მედიასაშუალებები | 8.2 | 4.6 | 86.9 | 0.3 |
| თურქულენოვანი მედიასაშუალებები | 7.7 | 5.8 | 86.2 | 0.3 |
| არაბულენოვანი მედიასაშუალებები | 0.3 | 1.1 | 98.3 | 0.3 |
| ინგლისურენოვანი მედიასაშუალებები | 0.7 | 5.1 | 93.9 | 0.3 |
| სოციალური ქსელები (Facebook, twitter და აშ.) | 46.9 | 20.2 | 32.5 | 0.4 |
| ჩეჩნურენოვანი მედიასაშუალებები | 0.8 | 0 | 0 | 99.2 |

მაღალმთიან აჭარაში, სადაც რესპონდენტები ეთნიკურად ქართველი მუსლიმები არიან, ყველაზე მაღალია მათი მაჩვენებელი, ვინც ახალ ამბებს ხშირად ქართულენოვანი მედიასაშუალებებით - ეროვნული დაფარვის (85,5%) და რეგიონული (64%) - ეცნობა. სხვა რეგიონებთან შედარებით (ქვემო ქართლი -56,7%, ახმეტა -46.8%) კი, მაღალმთიან აჭარაში სოციალური მედიის ხშირი მოხმარების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (43.2%). თურქულენოვან მედიასაშუალებებს აქ ხშირად 8%, იშვიათად კი 3,2% ეცნობა.

ცხრილი 7. **ინფორმაციის მიღების არხები - მაღალმთიანი აჭარა**

| | ხშირად | იშვიათად | არასდროს | უარი პასუხზე |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს ეროვნული დაფარვის მედიასაშუალებები | 85.5 | 12.3 | 1.6 | 0.6 |
| საქართველოს რეგიონული მედიასაშუალებები | 64 | 28.7 | 6.7 | 0.6 |
| რუსულენოვანი მედიასაშუალებები | 2.2 | 6.5 | 90.7 | 0.6 |
| აზერბაიჯანული მედიასაშუალებები | | 1.2 | 98.2 | 0.6 |
| თურქულენოვანი მედიასაშუალებები | 0.8 | 3.2 | 95.4 | 0.6 |
| არაბულენოვანი მედიასაშუალებები | 0.2 | 1.4 | 97.8 | 0.6 |
| ინგლისურენოვანი მედიასაშუალებები | 0.4 | 3 | 96 | 0.6 |
| სოციალური ქსელები (Facebook, twitter და აშ.) | 43.2 | 19 | 37.2 | 0.6 |
| ჩეჩნურენოვანი მედიასაშუალებები | 0 | 0 | 0 | 100 |

მთიანი აჭარის შემდეგ ყველაზე ხშირად ახალ ამბებს ქართული ეროვნული დაფარვის მედიასაშუალებებით ახმეტაში (პანკისი) (64.8%) ეცნობიან, რასაც სოციალური ქსელები (46.8%) მოსდევს. რუსულენოვან აქ მედიას ხშირად 2,8% ეცნობა, იშვიათად კი - 15,2%. ახმეტაში(პანკისი) ჩეჩნურენოვან მედიასაშუალებებს ხშირად 2% ეცნობა.

ცხრილი 8. **ინფორმაციის მიღების არხები - ახმეტა (პანკისი)**

| | ხშირად | იშვიათად | არასდროს | უარი პასუხზე |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს ეროვნული დაფარვის მედიასაშუალებები | 64.8 | 32 | 3.2 | 0 |
| საქართველოს რეგიონული მედიასაშუალებები | 3.4 | 10.4 | 86.2 | 0 |
| რუსულენოვანი მედიასაშუალებები | 2.8 | 15.2 | 82 | 0 |
| აზერბაიჯანული მედიასაშუალებები | | | 100 | 0 |
| თურქულენოვანი მედიასაშუალებები | 0.2 | 0.6 | 99.2 | 0 |
| არაბულენოვანი მედიასაშუალებები | | | 100 | 0 |
| ინგლისურენოვანი მედიასაშუალებები | 0.2 | 2.2 | 97.6 | 0 |
| სოციალური ქსელები (Facebook, twitter და აშ.) | 46.8 | 22.6 | 30.6 | 0 |
| ჩეჩნურენოვანი მედიასაშუალებები | 2 | 0 | 0 | 98 |

სოციალური ქსელების ინფორმაციის წყაროდ ხშირად გამოყენების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (56,7%) ქვემო ქართლის სტუდენტ რესპონდენტებს შორის, ისევე, როგორც აზერბაიჯნულენოვანი (49,2%) და თურქულენოვანი (43,8%) მედიებით სარგებლობის ინტენსივობა, რაც რესპონდენტთა ეთნიკურ და ლინგვისტურ კუთვნილებას უკავშირდება. შესაბამისად, შედარებით დაბალია მათი წილი, ვინც ინფორმირების მიზნით ქართულენოვან ეროვნული დაფარვის (27,9%) და რეგიონულ (14,9%) მედიებს მიმართავს.

ცხრილი 9. **ინფორმაციის მიღების არხები - ქვემო ქართლი**

| | ხშირად | იშვიათად | არასდროს | უარი პასუხზე |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს ეროვნული დაფარვის მედიასაშუალებები | 27.9 | 4.3 | 25.4 | 0.4 |
| საქართველოს რეგიონული მედიასაშუალებები | 14.9 | 37.8 | 46.8 | 0.5 |
| რუსულენოვანი მედიასაშუალებები | 9.5 | 18.9 | 71.1 | 0.5 |
| აზერბაიჯანული მედიასაშუალებები | 49.2 | 24.4 | 25.9 | 0.5 |
| თურქულენოვანი მედიასაშუალებები | 43.8 | 25.4 | 30.3 | 0.5 |
| არაბულენოვანი მედიასაშუალებები | 1.5 | 3 | 95 | 0.5 |
| ინგლისურენოვანი მედიასაშუალებები | 2.5 | 17.4 | 79.6 | 0.5 |
| სოციალური ქსელები (Facebook, twitter და აშ.) | 56.7 | 17.4 | 25.4 | 0.5 |
| ჩეჩნურენოვანი მედიასაშუალებები | 0 | 0 | 0 | 100 |

***ადგილობრივი ახალი ამბები.*** საკუთარ ქალაქში/დასახლებულ პუნქტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციას რესპონდენტები ყველაზე ხშირად ტელევიზიით (75,5%), ონლაინ მედიით (53,9%), სოციალური მედიით (45,7%) და ახლობლებისგან (ნაცნობები/მეზობლები) (41,6%) იღებენ.

ყველა რეგიონში ყველაზე ხშირად ინფორმაციის წყაროდ ტელევიზია დასახელდა, გამონაკლისია ქვემო ქართლი, სადაც 84,6%-მა ონლაინ მედია დაასახელა. აჭარასთან შედარებით (34.5%), ახმეტაში (პანკისი) მაღალია იმ რესპონდენტების რიცხვი, ვინც

ადგილობრივი ახალი ამბების წყაროდ სოციალური მედია (51.4%) დაასახელა. ამასთანავე, ახმეტაში (პანკისი), სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მაღალია რესპონდენტთა წილი (55.8%), ვინც ადგილობრივ ახალ ამბებს ახლობლებისგან (ნაცნობები/მეზობლები) იგებს.

**დიაგრამა 18. ადგილობრივი ახალი ამბების მიღების წყაროები და სიხშირე - შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა**



***ადგილობრივი ოფიციალური ინფორმაციის წყაროები.*** ოფიციალურ ინფორმაციას ქალაქში/დასახლებულ პუნქტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ახალგაზრდების უმეტესობა (71,3%) ახლობლებისგან (ნაცნობები/მეზობლები) იღებს, ადგილობრივი მედია ოფიციალური ინფორმაციის წყაროდ 29,4%-მა დაასახელა, სოციალურ ქსელებში ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური გვერდები კი - 25,9%-მა.
თუ ახმეტასა (პანკისი) (88.6%) და მაღალმთიან აჭარაში (69.1%) ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც ადგილობრივ ოფიციალურ ინფორმაციას ახლობლებისგან (ნაცნობები/მეზობლები) იღებს, ქვემო ქართლში ყველაზე მაღალია მათი ხვედრითი წილი (63.2%), ვინც წყაროდ ადგილობრივი ხელისუფლების სოციალურ მედიას ასახელებს. მაღალმთიან აჭარაში კი სხვა რეგიონებზე (ქვემო ქართლი- 18.9%, ახმეტა(პანკისი) 10.6%) მაღალია რესპონდენტთა რაოდენობა (52.3%), რომელიც ადგილობრივ ოფიციალურ ინფორმაციას ადგილობრივი მედიიდან იღებს, რაც აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მაღალი ყურებადობით შეიძლება აიხსნას (იხ. დიაგრამა 21).

**დიაგრამა 19.**
**ადგილობრივი ოფიციალური ინფორმაციის წყაროები**



## 2.1. ტელევიზია

***ქართულენოვანი ეროვნული დაფარვის სატელევიზიო არხები.*** შეკითხვაზე - რომელი ქართული (ეროვნული დაფარვის) სატელევიზიო არხებით იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ? - რესპონდენტთა 85,5%-მა - რუსთავი 2, 82.7%-მა - იმედი, ხოლო 30,5%-მა - GDS დაასახელა. შემდეგ ადგილებზეა “მაესტრო” (14,6%) და საზოგადოებრივი მაუწყებლის “პირველი არხით” (13.7%).
ახმეტა (პანკისი) ერთადერთი რეგიონია, სადაც “იმედი” (88,6%) “რუსთავი 2”-ს (82,2%) უსწრებს, ქვემო ქართლში კი “იმედს” (61,7%) მნიშვნელოვნად უსწრებს “რუსთავი 2” (80,1%).

**დიაგრამა 20.**
**ქართულენოვანი ეროვნული დაფარვის სატელევიზიო არხები, როგორც ინფორმაციის წყარო- შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის არჩევა**




***რეგიონული არხები.*** შეკითხვაზე - რომელი რეგიონული არხით იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ - რესპონდენტთა 57,5%-მა გასცა პასუხი,

აქედან ქვემო ქართლში - 73,6%-მა, მაღალმთიან აჭარაში - 94,1%-მა, ხოლო ახმეტაში (პანკისი) - 14%-მა.

მათგან, ვინც პასუხი გასცა, მაღალმთიან აჭარაში ყველაზე მაღალია იმ რესპოდენტთა მაჩვენებელი (87,1%, N=440), ვინც აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს უყურებს, მეორე ადგილზეა 25-ე არხი (24,4%, N=123).

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს ყურებადობა აქვს ახმეტაშიც (პანკისი) (9,6%, N=48), სადაც მეორე ადგილზეა თელავის ტელევიზია “თანამგზავრი” (4,6%, N=23). ზოგადად, ახმეტაში (პანკისი), სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად უყურებენ რეგიონალურ არხებს.

ქვემო ქართლში რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53,2%, N=107) ასახელებს “მარნეული TV”-ს და 23,9% (N=48) ქვემო ქართლის ტელევიზიას, ხოლო 9% (N=18) - აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

**დიაგრამა 21. რეგიონული TV არხები, როგორც ინფორმაციის წყარო - შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა**




***რუსული არხები.*** ინფორმაციის წყაროდ სხვადასხვა რუსული არხი მთლიანობაში 210-მა რესპონდენტმა დაასახელა, მათგან ყველაზე ხშირად - ახმეტაში (პანკისი) (N=140), დაახლოებით თანაბრად მაღალმთიან აჭარასა (N=36) და ქვემო ქართლში (N=34). ყველაზე ხშირად რუსეთის “პირველი არხი”/Первый канал (პასუხების 37.1%), НТВ (36.2%) და РТР (29%), მთლიანობაში კი 18 სხვადასხვა არხი დასახელდა.

**დიაგრამა 22. რუსული TV არხები, როგორც ინფორმაციის წყარო - შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა**




ქვემო ქართლში ყველაზე ხშირად დასახელდა НТВ (N=15, 44.1%), მაღალმთიან აჭარაში - Первый канал (N=23, 63.9%), ხოლო ახმეტაში (პანკისი) НТВ (N=54, 38.6 %), Первый канал (N=47, 33.6%) და РТР (N=57, 40.7%).

***სხვა უცხოური არხები.*** სხვადასხვა უცხოურენოვანი არხი (29 არხი) ინფორმაციის წყაროდ სულ 108 რესპონდენტმა დაასახელა (ქვემო ქართლი - 75, მაღალმთიანი აჭარა - 25, ხოლო ახმეტა (პანკისი) – 8). ყველაზე ხშირად კი დასახელდა BBC - (პასუხების 25.9%), თურქულენოვანი A TV (პასუხების 21,3%) და TRT 1 (პასუხების 20.4%).

ქვემო ქართლში ყველაზე ხშირად A TV (N=23), მაღალმთიან აჭარაში - BBC (N=10), ხოლო ახმეტაში (პანკისი) Euronews (N=3) დასახელდა.

**დიაგრამა 23. სხვა უცხოური არხები, როგორც ინფორმაციის წყარო (მთლიანი შერჩევის 108 რესპონდენტი)**



## 2.2. ონლაინ გამოცემები.

სხვადასხვა ონლაინ გამოცემებს 221 რესპონდენტი (18.3%) ეცნობა, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლზე მოდის (N=133, 66.2%), მას მოსდევს მაღალმთიანი აჭარა (N=56, 11.1%) და ახმეტა (პანკისი) (N=32, 6.4%).

ქვემო ქართლში მათი 46%, ვინც ონლაინ გამოცემებს ეცნობა, აზერბაიჯანულ ტოპ ნიუს საიტებს - oxu.az და big.az-ს ასახელებს (ხშირად 26%, იშვიათად 20%). მაღალი მაჩვენებლით დასახელდა ასევე თურქული ტოპ ნიუს საიტი Cumhuriyet.com.tr (ხშირად 21.5%, იშვიათად 26%) და Milliyet.com.tr (ხშირად 20.5%, იშვიათად 26%). ქართულენოვანი ონლაინ გამოცემებიდან დასახელდა „საქართველო და მსოფლიო" (ხშირად 9,5%, იშვიათად 21%), ასევე რუსეთის მთავრობის მიერ დაფუძნებული ქართულენოვანი გამოცემა "სპუქტნიკ-საქართველო", რომელსაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლში მაღალი მაჩვენებლი აქვს (ხშირად 3%, იშვიათად 6,5%).

**დიაგრამა 24. ონლაინ გამოცემების გაცნობის სიხშირე, ქვემო ქართლი**




მაღალმთიან აჭარაში ონლაინ გამოცემების კითხვის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. ყველაზე ხშირად კი რესპონდენტები "ნეტგაზეთს" (ხშირად 1,1%, იშვიათად 4%) და „საქართველო და მსოფლიო" (ხშირად 0,9%, იშვიათად 6,2%) ასახელებენ.

**დიაგრამა 25. ონლაინ გამოცემების გაცნობის სიხშირე, მაღალმთიანი აჭარა**




ახმეტაში (პანკისი) დასახელდა "საქართველო და მსოფლიო" (ხშირად 1,5%, იშვიათად 1,5%) და სპუტნიკ-საქართველო (ხშირად 1%, იშვიათად 2,7%).

**დიაგრამა 26. ონლაინ გამოცემების გაცნობის სიხშირე, ახმეტა (პანკისი)**



## 2.3. სოციალური მედია

კითხვაზე, რომელ სოციალურ ქსელში არიან გაწევრიანებული? - მთლიანობაში რესპონდენტთა 92.9%-მა - Facebook-ი, 30%-მა - Instagram-ი, ხოლო 25.4%-მა რუსულენოვანი Odnoklassniki მიუთითა.

ახმეტაში (პანკისი) Facebook-ით გამოკითხულთა 91.2% სარგებლობს, Instagram-ით - 33.3%. სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აქ დამატებით დასახელდა Whatsapp (15.7%), რომელიც არ არის სოციალურ ქსელი, თუმცა, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, კომუნიკაციის ამ საშუალებით ისინი სხვადასხვა თემატურ ჩატებში ინფორმაციის გაცვლის მიზნით წევრიანდებიან. Whatsapp-ის მომხმარებელთა პასუხების 75%-ში მითითებულია, რომ  ამ საშუალებას ისინი უცხოეთში მყოფ ნათესავებთან/მეგობრებთან ურთიერთობისათვის იყენებენ.

მაღალმთიან აჭარაში რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად Facebook-ი დაასახელეს (94,5%), აქ სხვა რეგიონებზე მაღალი იყო რუსულენოვანი Odnoklassniki-ის მაჩვენებლიც (41.2%).

ქვემო ქართლში Facebook-თან (93.5%), Instagram-თან (66.5%) და Odnoklassniki-ებთან (33.5%) ერთად დამატებით დაფიქსირდა Vkontakte.ru-ს (19%) და Twitter-ის (18%) შედარებით მაღალი მაჩვენებელი. ქვემო ქართლში Vkontakte.ru-ს  მეტწილად გასართობად (45%) და მეგობრებთან ურთიერთობისთვის (27,5%) იყენებენ, Twitter-ს - ინფორმაციის მისაღებად (48,6%), გასართობად (34,3%) და მეგობრებთან ურთიერთობისთვის (29,6%).

**დიაგრამა 27. სოციალურ ქსელებში გაწევრიანება**

მთლიანი შერჩევა




ქვემო ქართლი




მაღალმთიანი აჭარა




ახმეტა (პანკისი)



Facebook-ს ყველაზე მეტად ინფორმაციის მისაღებად (96,9%) ახმეტაში (პანკისი) იყენებენ; Odnoklassniki-ს მეგობრებთან ურთიერთობისთვის ყველაზე მეტად (82,7%) - მაღალმთიან აჭარაში; Instagram-ს მეგობრებთან ურთიერთობისთვის (72,9%) ყველაზე ხშირად - ახმეტაში(პანკისი).

ახმეტაში (პანკისი) Facebook-ს სხვა რეგიონებთან შედარებით მეტად იყენებენ ახალი ნაცნობობის გასაჩენად/სოციალიზაციისთვის (60.5%) და უცხოეთში მყოფ ნათესავებთან, მეგობრებთან ურთიერთობისთვის (47.8%).

**დიაგრამა 28. სოციალურ ქსელებში გაწევრიანების მიზნობრიობა (Facebook, Odnoklasniki, instagram. twitter)**

რა მიზნით იყენებთ სოციალურ ქსელებს? - Facebook



რა მიზნით იყენებთ სოციალურ ქსელებს? - Odnoklasniki



რა მიზნით იყენებთ სოციალურ ქსელებს? - Instagram



რა მიზნით იყენებთ სოციალურ ქსელებს? - Twitter




***თემატური ჯგუფები და გვერდები.*** რესპონდენტთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 22.8% აღნიშნა, რომ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში არსებული სხვადასხვა თემატური ჯგუფიდან იღებს (ქვემო ქართლი: 51.2%, მაღალმთიანი აჭარა: 29.9%, ახმეტა (პანკისი): 4.2%).

დიაგრამა 29. **სოციალური ქსელების თემატური ჯგუფები, როგორც ინფორმაციის წყარო**



მთლიანობაში, ინტერნეტზე წვდომის მქონე რესპონდენტთა 21.5%-მა აღნიშნა, რომ თავადაც არის გაერთიანებული სოციალურ ქსელში არსებულ ამა თუ იმ თემატურ ჯგუფში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ ქვემო ქართლშია (44.5%), რომელსაც მოსდევს მაღალმთიანი აჭარა (30,1%) და ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ახმეტა (პანკისი) - 3.8%.

**დიაგრამა 30. სოციალურ ქსელებში არსებულ თემატურ ჯგუფებში გაწევრიანების მაჩვენებელი**




ჯგუფები, რომლებშიც რესპონდენტები არიან გაერთიანებული, მეტწილად გასართობი შინაარსისაა (57,1%), 36,5% - საგანმანათლებლო, ხოლო 24,7% - რელიგიური.

## დიაგრამა 31. სოციალური ქსელების თემატური ჯგუფების ტიპოლოგია




თემატურ ჯგუფებში გაწევრიანებულ რესპოდენტთა 55,1%-მა აღნიშნა, რომ მხოლოდ თვალს ადევნებს სხვა წევრების მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, 34.2%-მა კი განაცხადა, რომ იქ საკუთარ მოსაზრებებსაც გამოხატავს. სხვა რეგიონებთან შედარებით თემატურ გვერდებში

ნაკლებად აქტიურობენ ახალგაზრდები ახმეტიდან (პანკისი) - 66.6%, საკუთარ მოსაზრებებს კი ყველაზე აქტიურად გამოხატავენ ქვემო ქართლის შემთხვევაში - 46.1%.

**დიაგრამა 32. სოციალურ ქსელებში თემატურ ჯგუფებში აქტივობა**




კითხვაზე, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ მსურველი რესპონდენტების მიერ დასახელებულ თემატურ ჯგუფში გაწევრიანდეს, უმრავლესობამ (57,6%) აღნიშნა, რომ ამისათვის რაიმე წინაპირობა არ არსებობს, ხოლო 19.8%-მა აღინიშნა, რომ კონკრეტულ ჯგუფში გაწევრიანება ყველას არ შეუძლია. დახურული თემატური ჯგუფების არსებობას ყველაზე ხშირად ახმეტასა (პანკისი) (33.3%) და ქვემო ქართლში (32.6%) აღნიშნავდნენ. ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტები ქვემო ქართლიდან ასეთ ჯგუფებში გაწევრიანების წინაპირობად ყველაზე ხშირად ენის ცოდნის აუცილებლობას (22.5%), ასევე ჯგუფის მოდერატორთან პირად ნაცნობობას (11.2%) ასახელებდნენ. პანკისში, 55,6% აღნიშნავს, რომ ასეთ ჯგუფებში გასაწევრიანებლად რაიმე სპეციალური წინაპირობა არ არსებობს, ხოლო 22,2% აცხადებს, რომ ამისათვის ჯგუფის სხვა წევრებთან ნაცნობობაა აუცილებელი.

დიაგრამა 33. **სოციალურ ქსელში არსებულ თემატურ ჯგუფებში გაწევრიანების წინაპირობები.**




რესპონდენტთა 39,6%-მა, ვინც ინფორმაციას სოციალური ქსელების თემატური ჯგუფებიდან იღებს, კონკრეტული ჯგუფის დასახელება ვერ შეძლო ან სახელწოდება ვერ გაიხსენა, ხოლო 6.5%-მა დასახელებაზე საერთოდ უარი თქვა. მთლიანობაში რესპონდენტებმა 106 ჯგუფი დაასახელეს, რომელთა ნაწილი სოციალურ ქსელში არ იძებნება. ასევე დასახელებულთა შორის, გადამოწმების შედეგად არა მხოლოდ თემატური ღია თუ დახურული ჯგუფები, არამედ თემატური გვერდებიც აღმოჩნდა.

ქვემოთ მოცემულია იმ ძირითადი Facebook ჯგუფებისა და გვერდების ჩამონათვალი, რომლებიც ინფორმაციის მიღების წყაროდ ყველაზე ხშირად დასახელდა. როგორც ცხრილი 10-დან ჩანს, ყველაზე მეტად გასართობი კატეგორიის გვერდები (საგიჟეთი 13,1%) დასახელდა; ახალგაზრდულ-საგანმანათლებლო მიმართულებით - PITA-ს[10] (1,9%) და ილიას უნივერსიტეტის (1,9%) გვერდები; Facebook-ის რელიგიური თემატური ჯგუფებიდან islam.ge (0,9%) და ქართველი მუსლიმები (0,6%), ხოლო რელიგიური გვერდებიდან Ehlibeyit (0,6%) და Grey Wolfs Bozkurt (0,6%).

[10] PITA - Promotion Integration, Tolerance and Awareness USAID program, implemented by UNAG

ცხრილი 10. Facebook-ის თემატური გვერდები და ჯგუფები, როგორც ინფორმაციის წყარო

| FACEBOOK თემატური ჯგუფები | | | FACEBOOKთემატური გვერდები | |
|---|---|---|---|---|
| რელიგიური | Islam.ge | 0.9% | Ehlibeyit | 0.6% |
| | Bozkurt | 0.6% | Grey Wolfs Bozkurt | 0.6% |
| | ქართველი მუსლიმები | 0.6% | | |
| გასართობი | კულინარიული ჯგუფი | 0.9% | საგიჟეთი | 13.1% |
| | | | რა, სად, როდის? | 1.3% |
| | გაიხალისე ცხოვრება | 0.6% | გაიხალისე ცხოვრება | 0.6% |
| | | | მოგზაურობა და დასვენება | 0.6% |
| ახალგაზრდული/ საგანმანათლებლო | ტუტპრიუმი 2017 | 1.3% | პიტა | 1.9% |
| | თსუ. ახალგაზრდული ცენტრი | 0.9% | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1.9% |
| | მოსამზადებელი ჯგუფი | 1.9% | ახალგაზრდული ცენტრი | 0.9% |

***რელიგიური თემატური ჯგუფები.*** საერთო ჯამში 123 რესპონდენტს (10,2%) სმენია ნაცნობებისგან სოციალურ სივრცეში არსებული რომელიმე თემატური ჯგუფების შესახებ, სადაც ახალგაზრდებს რელიგიის საკითხებზე ინფორმაციის მიღება შეუძლიათ (ქვემო ქართლში: N=40, 19,9%; მაღალმთიან აჭარაში: N=60, 11.9%, ახმეტაში (პანკისი): N=23, 4.6%).

მთლიანი შერჩევიდან მხოლოდ 63 რესპონდენტმა განაცხადა, რომ გაერთიანებულია Facebook-ის თემატურ რელიგიურ ჯგუფში, რაც ინტერნეტზე წვდომის მქონეთა 5.6%-ს შეადგენს (ქვემო ქართლი - 31, მაღალმთიანი აჭარა - 24, ახმეტა(პანკისი) - 8).

დასახელდა Facebook-ის 40 თემატური გვერდი და ჯგუფი, რომელთა გადამოწმების შემდეგ სიის დაკორექტირება მოხდა[11]. ქვემოთ მოცემულია ყველაზე ხშირად დასახელებული ჯგუფების და გვერდების ჩამონათვალი. თემატურ ჯგუფებში ყველაზე ხშირად islam.ge (3,7%) და I love Islam (3%) დასახელდა, Facebook გვერდებიდან Georgian Muslim (10,4%), Islam (7,4%), ასევე "ქალი ისლამში" (3%) დასახელდა.

[11] გაიფილტრა ის გვერდები, რომლებიც არ იძებნებოდა.

ცხრილი 11. **რელიგიური Facebook გვერდები და ჯგუფები, რომლებშიც გაწევრიანებული არიან რესპონდენტები**

| FACEBOOK რელიგიური გვერდები | N | % | FACEBOOK რელიგიური ჯგუფები | N | % |
|---|---|---|---|---|---|
| GEORGIAN MUSLIM | 14 | 10.4% | ISLAM.GE | 5 | 3.7% |
| ISLAM | 10 | 7.4% | I LOVE ISLAM | 4 | 3% |
| ქალი ისლამში | 4 | 3% | მე მიყვარს ისლამი | 3 | 2.2% |
| I LOVE ISLAM | 4 | 3% | ISLAMFACTS ფაქტები | 3 | 2.2% |
| მე მიყვარს ისლამი | 3 | 2.2% | გაიგე მეტი შენი რელიგიი | 2 | 1.5% |
| ისლამის სკოლა | 2 | 1.5% | | | |

63-დან 41-მა რესპონდენტმა განაცხა, რომ ჯგუფში მეგობრის რჩევით გაწევრიანდა, ნაწილმა აღნიშნა, რომ თავისით იპოვა ჯგუფი, ხოლო 8-მ პასუხისგან თავი შეიკავა.

## 2.4. რადიო

***ნაციონალური და ადგილობრივი რადიო არხები.*** მთლიანობაში რესპონდენტების 81,3% რადიოს ინფორმაციის მისაღებად არ იყენებს. სხვა რეგიონებთან შედარებით რადიოს ამ მიზნით ნაკლებად უსმენენ მაღალმთიან აჭარასა (13,8%) და ახმეტაში(პანკისი) - 15.6%, ხოლო ყველაზე ხშირად - ქვემო ქართლში (38,3%).

ქვემო ქართლში ინფორმაციის მიღების მიზნით ყველაზე ხშირად უსმენენ რადიო “იმედს” (პასუხების 16.4%) და მარნეულის სათემო რადიოს (15.4%).

ახმეტაში (პანკისი) ყველაზე ხშირად დასახელდა პანკისის სათემო რადიო/Radio Way (13%), ხოლო აჭარაში - რადიო „აჭარა“ ( 9.7%).

**დიაგრამა 34.** რადიო, როგორც ინფორმაციის წყარო



### უცხოური რადიო არხები

მთლიანობაში მხოლოდ გამოკითხულთა 5,6%-მა დაასახელა სხვა ქვეყნის რადიო, რომელსაც იჭერს მათ რეგიონში.

ქვემო ქართლში 21.4%-მა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის რადიოს უსმენენ, თურქეთის დაასახელა 6.5%-მა, რუსეთის - 3.5%, სომხეთის - 1.5%.

მაღალმთიან აჭარაში სხვა ქვეყნის რადიო არავის დაუსახელებია, ხოლო ახმეტაში(პანკისი) რუსეთის (3.6%), ასევე თურქეთის (0,2%) და ჩეჩნეთის (0,2%) რადიოარხები დასახელდა.

ცხრილი 12. **უცხოეთის რადიოებზე წვდომა - შესაძლებელი იყო რამ დენიმე პასუხის არჩევა**

| გარდა ქართულენოვანი რადიოსი, რომელი ქვეყნის რადიოს იჭერთ და უსმენთ თქვენს რეგიონში? | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქვემო ქართლი | | აჭარა | | ახმეტა(პანკისი) | | სულ | |
| | N | % | N | % | N | % | N | % |
| **აზერბაიჯანი** | 43 | 21.4% | 0 | 0 | | | 43 | 3.6% |
| **რუსეთი** | 7 | 3.5% | 0 | 0 | 18 | 3.6% | 25 | 2.1% |
| **თურქეთი** | 13 | 6.5% | 0 | 0 | 1 | .2% | 14 | 1.2% |
| **სომხეთი** | 3 | 1.5% | 0 | 0 | | | 3 | .2% |
| **ჩეჩნეთი** | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | .2% | 1 | .1% |
| **უარი პასუხზე** | 155 | 77.1% | 0 | 0 | 490 | 98.0% | 1150 | 95.4% |

## 2.5. ბეჭდური მედია

რესპონდენტთა უმეტესობა - 91,4% - ბეჭდურ მედიასაშუალებებს არ ეცნობა. გამოკითხულთა მხოლოდ 8,6%-მა დაასახელა ბეჭდური მედია, როგორც ინფორმაციის წყარო. ძირითადად დასახელდა ქართული ჟურნალ-გაზეთები: "კვირის პალიტრა" (N=38), "თბილისელები" (N=11), "სარკე" (N=11), "გზა" (N=7), "ქრონიკა" (N=7). მაღალმთიან აჭარაში დასახელდა რეგიონული გაზეთები "აჭარა" (N=18), "ხულო" (N=10). სულ დასახელდა 26 გაზეთი.

დიაგრამა 35. **ბეჭდური მედია, როგორც ინფორმაციის წყარო**












უცხოური ბეჭდური მედია მხოლოდ ქვემო ქართლის რესპონდენტებმა დაასახელეს. კერძოდ: აზერბაიჯანულენოვანი Təhsil (N=6), თურქულენოვანი Vatan (N=4) და Hurriyet (N=3). სულ 23-მა რესპონდენტმა 16 გაზეთი დაასახელა.

## 2.6. მედია გაშუქება და რესპონდენტთა დამოკიდებულებები

### ახლო აღმოსავლეთის მოვლენები

კითხვაზე, თუ რომელი მედიასაშუალებებით ეცნობიან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას, მთლიანობაში რესპონდენტთა 77,8%-მა დაასახელა ტელევიზია, 52.1%-მა - სოციალური მედია.

**დიაგრამა 36. ინფორმაციის წყაროები ახლი აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ**




ქვემო ქართლში ყველაზე ხშირად სახელდება სოციალური მედია (55,7%), ტელევიზია (44,3%), ასევე ონლაინ მედია (29,9%). ახმეტაში (პანკისი) ყველაზე ხშირად ტელევიზია (45%) და სოციალური მედია (34,4%) სახელდება. ანალოგიური ტენდენციაა იკვეთება მაღალმთიან აჭარაშიც, სადაც რესპონდენტები ყველაზე ხშირად (47,5%) ტელევიზიას ასახელებენ, ხოლო სოციალური მედიის ხვედრითი წილი სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია (12,3%).

***ახლო აღმოსავლეთის შესახებ ინფორმაციის მიღების დასახელებული საინფორმაციო წყაროები.*** მთლიანობაში 917-მა რესპონდენტმა დაასახელა 41 სხვადასხვა ტელევიზია, რომლის საშუალებითაც იღებს ინფორმაციას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ ყველა რეგიონში ყველაზე ხშირად ეროვნული და რეგიონული სატელევიზიო არხები დასახელდა (რუსთავი 2, იმედი და ა.შ). გარად ამისა, ქვემო ქართლში დასახელდა თურქულენოვანი Star TV (6.3%) და A TV (13.1%). აჭარაში ბრიტანული BBC 1,1% და თურქულენოვანია Kanal D (0.8%), ხოლო ახმეტაში (პანკისი) BBC (0,5%) და რუსულენოვანი RTR (0,5%). ქვემოთმოცემულ

დიაგრამაზე (37) წარმოდგენილია დასახელებული ტელევიზიების პირველი სამეული. სულ კითხვაზე პასუხი 862-მა რესპონდენტმა გასცა.

**დიაგრამა 37. ტელევიზიების პირველი სამეული, საიდაც რესპონდენტები იღებენ ინფორმაციას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ**




დიაგრამაზე 38 წარმოდგენილია დასახელებული ბეჭდური და Online მედიის პირველი სამული, საიდანაც რესპონდენტები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას იღებენ. სულ კითხვაზე პასუხი 83-მა რესპონდენტმა გასცა.

**დიაგრამა 38. ონლაინ და ბეჭდური მედიის პირველი სამეული, საიდაც რესპონდენტები იღებენ ინფორმაციას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ**



დიაგრამაზე 39 წარმოდგენილია დასახელებული რადიოს პირველი სამეული, საიდანაც რესპონდენტები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას იღებენ. სულ კითხვაზე პასუხი 55-მა რესპონდენტმა გასცა.

**დიაგრამა 39. რადიოს პირველი სამეული, საიდაც რესპონდენტები იღებენ ინფორმაციას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ**




***მუსლიმი თემის ცხოვრების ტრადიციების და პრობლემების გაშუქება მედიაში.*** რესპონდენტთა (33.3%) მიიჩნევს, რომ მედია საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემის ცხოვრებას, ტრადიციებსა და პრობლემებს აშუქებს დადებითად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მათ შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად. 29.7% ფიქრობს, რომ მედია აშუქებს ისე, რომ საზოგადოებას ბუნდოვანი წარმოდგენა შეექმნას მუსლიმი თემის შესახებ, 13.8% მიიჩნევს, რომ საერთოდ არ აშუქებს, 5.1%-ის აზრით კი, აშუქებს ისე, რომ საზოგადოება ნეგატიურად განეწყოს მუსლიმი თემის მიმართ, მხოლოდ 10.7% თვლის, რომ მედია მუსლიმი თემის ცხოვრებას, ტრადიციებს, პრობლემებს დადებითად აშუქებს და საზოგადოებას საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემის შესახებ საკმარის ინფორმაციას აწვდის.

ახმეტაში(პანკისი) მეტად მიიჩნევენ, რომ მედიის გაშუქების სტილი ბუნდოვან წარმოდგენას ქმნის მუსლიმი თემის შესახებ (36.6%), ხოლო ქვემო ქართლში მეტად ფიქრობენ, რომ მედია საერთოდ არ აშუქებს მუსლიმი თემის ცხოვრებას, ტრადიციებსა და პრობლემებს (27.9%). მაღალმთიან აჭარაში, 6.3%-ის აზრით, მედია მუსლიმი თემის ცხოვრებას, ტრადიციებს, პრობლემებს აშუქებს ისე, რომ საზოგადოება ნეგატიურად განეწყოს მუსლიმი თემის მიმართ, ხოლო 15.4% თვლის, რომ საერთოდ არ აშუქებს.

**დიაგრამა 40. მუსლიმი თემის საკითხების გაშუქება მედიაში**




მთლიანობაში, რესპოდენტთა 6.7% (N=81) მიიჩნევს, რომ მედია გაშუქებისას მუსლიმთა მიმართ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას იყენებს. ყველაზე მაღალი (12.4%) ეს რიცხვი ქვემო

ქართლშია, შემდეგ მაღალმთიან აჭარაში (9,3%), ხოლო ყველაზე დაბალი ახმეტაში(პანკისი) (1,8%).

**დიაგრამა 41. მედიაში მუსლიმთა მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება**




სულ 54 რესპონდენტი (4.5%) მიიჩნევს, რომ მედია ახდენს მუსლიმი თემის დისკრიმინაციას. ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი კვლავ ქვემო ქართლშია (10.4%, N=21).

დიაგრამა 42. **მედია, როგორც დისკრიმინაციის წყარო**




რესპოდენტებმა დაასახელეს ის შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია, რომელსაც მედია მუსლიმთა მიმართ იყენებს, ასევე - დისკრიმინაციული გაშუქების მაგალითები

ცხრილი 13. **შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია და დისკრიმინაციის მაგალითები.**

| შეურაცხმყოფელი ტერმონოლოგია | N | % |
|---|---|---|
| თათარი | 19 | 19,0% |
| მკვლელები | 1 | 1,0% |
| ტერორისტები | 18 | 18,0% |
| ვაჰაბიტები | 3 | 3,0% |
| დამამცირებელი ეპითეტები მუსლიმების მიმართ | 3 | 3,0% |
| **დისკრიმინაციის მაგალითები** | | |
| აზანის ვიდეოს ატვირთვა და შეურაცხყოფელი კომენტარების მიწერა „რატომ ისმის მუსლიმთა ხმა“ და ა.შ. | 6 | 6,0% |
| დღესასწაულების შესახებ ინფორმაციის არასწორად, ნეგატიურად გავრცელება | 1 | 1,0% |
| ქობულეთში მუსლიმთა პანსიონზე ღორის თავის მიქედების ფაქტის ნეგატიურად გაშუქება[12] | 4 | 4,0% |

[12] 10 სექტემბერი, 2014 http://www.civil.ge/geo/article.php?id=28672

| | | |
|---|---|---|
| სირიაში მიმდინარე მოვლენების მუსლიმებისთვის დაბრალება | 1 | 1,0% |
| მოწოდება: „წადით, თქვენს აჭარაში" | 1 | 1,0% |
| ქვეყნიდან გაყრის მოწოდება | 2 | 2,0% |
| ნეგატიური ინფორმაციის გაზვიადება და გავრცელება | 1 | 1,0% |
| მეჩეთის გახსნის წინააღმდეგობის გაშუქება | 7 | 7,0% |
| ადიგენის სოფელ ჭელაში ხელისუფლების მიერ მინარეთის მოჭრის უარყოფითად გაშუქება[13] | 4 | 4,0% |
| მოხეში სადავო მეჩეთის საკითხის გაშუქება | 1 | 1,0% |
| უარი პასუხზე | 56 | 56,0% |

ზემოთ ჩამოთვლილი ინციდენტების ნეგატიური გაშუქების და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გარდა, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სოციალურ ქსელებში მათ მიმართ ხშირად გამოიყენება სიძულვილის ენა, ასევე ვრცელდება არასწორი ინფორმაცია რელიგიური ლიდერების შესახებ.

რესპონდენტებს ცალკე-ცალკე ვთხოვეთ დაესახელებინათ დისკრიმინაციული მედია გაშუქების მაგალითები, რომელთა წყარო, ერთი მხრივ, ქართულენოვანი, ხოლო, მეორე მხრივ, რუსულენოვანი მედიებია. ქართულენოვანი მედიის შემთხვევაში სულ 44 პასუხი დაფიქსირდა, რუსულენოვანის - 15. როგორც ცხრილიდან ჩანს, ორივე შემთხვევაში რესპონდენტები ყველაზე მგრძნობიარენი არიან მუსლიმების ტერორიზმთან გაიგივებასთან მიმართ, ქართული მედიის შემთხვევაში კი დამატებით თავს იჩენს რელიგიური თემატიკის გაშუქებისადმი მგრძნობელობა და ის ნეგატიური სტერეოტიპები, რომელთაც, რესპონდენტთა აზრით, მედია ამკვიდრებს.

ცხრილი 14. **დისკრიმინაცია ქართულ და რუსულენოვან მედია საშუალებებში**

| ძირითადად რა სახის დეზინფორმაცია ვრცელდება ქართულ და რუსულენოვან მედიაში მუსლიმი თემის შესახებ? | ქართული | % | რუსული | % |
|---|---|---|---|---|
| მუსლიმები ტერორისტები არიან | 21 | 47,7 | 10 | 66,7 |
| ვაჰაბიტებად მოიხსენიებენ | 5 | 11,4 | | |
| თათრებად მოიხსენიებენ | 5 | 11,4 | | |
| მეჩეთების მშენებლობასთან დაკავშირებით ნეგატიურ ინფორმაციას ავრცელებენ | 3 | 6,8 | | |
| ამბობენ, რომ მუსლიმები იდეოლოგიის გამო სირიაში მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავენ | 2 | 4,5 | | |
| რელიგიის ეთიკურობაზე საუბრობენ | 1 | 2,3 | | |
| ისლამის ანტიპიარი | 1 | 2,3 | | |
| ბევრი უარყოფითი ინფორმაცია; მუსლიმთა მიმართ უარყოფითად განაწყობენ ადამიანებს | 1 | 2,3 | 3 | 20 |
| უცხოები არიან | 1 | 2,3 | 1 | 6,7 |
| მუსლიმობა ჩამორჩენილობაა | 1 | 2,3 | | |
| მუსლიმები ჩაგრავენ ქალებს | 1 | 2,3 | | |

[13] 26 აგვისტო, 2013 http://civil.ge/geo/article.php?id=27258

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მუსლიმ ოჯახებში ბავშვებს ჩაგრავენ | 1 | 2,3 | | |
| თუ ერთმა მუსლიმმა დააშავა, ყველას აკრიტიკებენ | 1 | 2,3 | | |
| კლავენ ადამიანებს | | | 1 | 6,7 |
| რუსულ მედიაში პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მუსლიმებს ტერორისტებად მოიხსენიებს | | | 1 | 6,7 |

კითხვაზე, თუ ვინ არიან იმ გამონათქვამების ავტორები, რომლებიც ხელს უწყობს რელიგიური რადიკალიზაციის პროცესს, პასუხები ბევრად მრავალფეროვანი იყო. სულ ამ კითხვაზე პასუხი 317-მა რესპონდენტმა, ანუ 26,3%-მა გასცა (ქვემო ქართლი - 158, მაღალმთიანი აჭარა - 142, ახმეტა(პანკისი) - 17 რესპონდენტი. მათგან თითქმის მესამედი - 30% ფიქრობს, რომ რელიგიურ რადიკალიზაციას ხელს უწყობს მედია (34,1%), ასევე რადიკალურად განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფები (30%), პოლიტიკოსები (12%), რადიკალურად განწყობილი მართლმადიდებელი სასულიერო პირები (12%).

**დიაგრამა 43. დისკრიმინაციული შეფასებების წყაროები**



***თვითრეგულირება.*** მთლიანობაში, რესპოდენტთა 15%-ს (N=181) სმენია მედიის ეთიკის კოდექსის ან თვითრეგულირების სხვა მექანიზმის შესახებ. ეს მონაცემი ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში (23.4%), რასაც მოსდევს ახმეტა (პანკისი)(21.6%), ყველაზე დაბალი კი ეს მაჩვენებელი მაღალმთიან აჭარაშია (5.1%).

**დიაგრამა 44. ინფორმირებულობა მედიის თვითრეგულირების მექანიზმების შესახებ**




რაც შეეხება შეკითხვას, მიუმართავთ თუ არა რესპონდენტებს საჩივრით ან შესწორების მოთხოვნით მედიისთვის ან თვითრეგულირების ორგანოსთვის(გასაჩივრების კომისიისთვის) იმ შემთხვევაში, როცა მუსლიმთა საკითხებს მედია დისკრიმინაციულად აშუქებდა, გამოკითხულთა მხოლოდ 11 რესპონდენტმა ქვემო ქართლიდან (1%) გასცა კითხვას დადებითი პასუხი, რაც სტუდენტი ახალგაზრდების მეტ ინფორმირებულობასა და სამოქალაქო აქტივიზმზე მიანიშნებს.

**დიაგრამა 45. მედიის თვითრეგულირების ორგანოსთვის მიმართვიანობა**



## III. სტერეოტიპები

რესპონდენტთა უმრავლესობა არ იზიარებს გავრცელებულ სტერეოტიპს, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს არ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ (88,4%)[14]; რომ ისინი საკმარისად არ სცემენ პატივს ეთნიკურ ქართველებს (84,5%), რომ ეთნიკურად ქართველები საკმარისად არ სცემენ პატივს სხვა ეთნიკურ ჯგუფებს (81.9%).

რესპონდენტთა 30,7%[15] მიიჩნევს, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა ღირებულებები ძალზედ განსხვავებულია, შედარებით ნაკლები (10,8%) მიიჩნევს, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ, ასევე 8,9% ძნელად წარმოსადგენად მიიჩნევს მეგობრობას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს შორის.

რესპონდენტთა მხოლოდ 18,3% თვლის, რომ სხვადასხვა კონფესიები საკმარისად არ სცემენ ერთმანეთს პატივს, თუმცა გაცილებით მაღალია მათი პროცენტული ხვედრი (35,7%), ვინც ფიქრობს, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები საკმარისად სცემენ ერთმანეთს პატივს, ხოლო დომინანტი რელიგია ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს.

**ცხრილი 15. დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები უმცირესობების მიმართ არსებულ სტერეოტიპებთან**

| | სრულიად არ ვეთანხმები | უფრო არ ვეთანხმები | მეტ-ნაკლებად ვეთანხმები | უფრო ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები | უარი პასუხზე |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეთნიკური წარმოშობით ქართველებს და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს **არ** შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ | 76.9 | 11.5 | 6.7 | 3.0 | 1.6 | .3 |
| საქართველოში მცხოვრები არაქართველები საკმარისად არ სცემენ პატივს ეთნიკური წარმოშობით ქართველებს | 71.6 | 12.9 | 9.5 | 4.2 | 1.7 | .1 |
| ეთნიკური წამოშობით ქართველები საკმარისად არ სცემენ პატივს სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს | 64.8 | 17.1 | 11.4 | 4.6 | 1.9 | .2 |
| სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლების ღირებულებები ძალზედ განსხვავებულია | 49.6 | 19.4 | 15.3 | 6.3 | 9.1 | .3 |
| სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლების მეგობრობა ძნელი წარმოსადგენია | 79.8 | 10.9 | 5.3 | 2.0 | 1.6 | .4 |
| სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ | 74.6 | 14.3 | 7.8 | 1.7 | 1.3 | .3 |
| სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები საკმარისად არ სცემენ ერთმანეთსპატივს | 62.9 | 18.6 | 12.1 | 4.1 | 2.1 | .2 |
| სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები საკმარისად სცემენ ერთმანეთს პატივს, გამონაკლისს წარმოადგენს დომინანტი რელიგია | 51.2 | 12.5 | 11.9 | 13.8 | 10.0 | .6 |

ქვემო ქართლსა და მაღალმთიან აჭარაში ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ფიქრობს, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები საკმარისად სცემენ ერთმანეთს პატივს, დომინანტი რელიგია კი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს (40,4% - მაღალმთიანი აჭარა, 35,8% - ქვემო ქართლი, 2,2% ახმეტა(პანკისი)). ახმეტასთან (პანკისი) შედარებით ქვემო ქართლსა (26,4%) და მაღალმთიან აჭარაში (24,6%) მაღალია მათი რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ სხვადასხვა რელიგიების ღირებულებები ძალზედ განსხვავებულია.

---

[14] ჯამი: სრულიად არ ვეთანხმები და უფრო არ ვეთანხმები.

[15] ჯამი: მეტ-ნაკლებად ვეთანხმები, უფრო ვეთანხმები, სრულიად ვეთანხმები.

**დიაგრამა 46. დამოკიდებულებები სხვადასხვა რელიგიური ჯგუფებისა და მათი ღირებულებების მიმართ**




დიაგრამაზე #47 წარმოდგენილია გავრცელებული სტერეოტიპების მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებების საშუალო ქულა 5 ბალიან სკალაზე.

**დიაგრამა 47. დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები უმცირესობების მიმართ არსებულ სტერეოტიპებთან - საშუალო ქულა**



მთლიანობაში, გამოკითხული ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება აძლიერებს ქვეყანას (საშუალო 4.16).

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები (P_value<0.05) გამოვლინდა ჯგუფებს შორის, კერძოდ, ახმეტაში(პანკისი) მეტად ემხრობიან მოსაზრებას, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება აძლიერებს ქვეყანას (საშუალო 4.49), ვიდრე ქვემო ქართლსა (4.21) და მაღალმთიან აჭარაში (3,81). უკიდურესი პასუხების პროცენტული მონაცემების დათვლით აღმოჩნდა, რომ ქვემო ქართლში 59,7% მტკიცედ ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ეთნიკური მრავალფეროვნება აძლიერებს ქვეყანას"; აჭარაში - 29,9%, ხოლო ახმეტაში (პანკისი) - 56,2%. ქვემო ქართლში 6% მიიჩნევს, რომ ეთნიკური მრავალფეროვნება შლის ქვეყნის ერთიანობას, მაღალმთიან აჭარაში ეს მაჩვენებელი 3 %-ია, ხოლო ახმეტაში(პანკისი) - მხოლოდ 0,6%.

**დიაგრამა 48. დამოკიდებულება ეთნიკური მრავალფეროვნების მიმართ (საშუალო ქულა)**




რესპონდენტების 50.1% აცხადებს, რომ საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან მეგობრობს.

ყველაზე მაღალი ეს რიცხვი ქვემო ქართლშია (83.6%), რაც შერჩევის დიზაინით აიხსნება (სტუდენტი რესპონდენტები), ახმეტაში(პანკისი) 61,6% სცემს კითხვას დადებით პასუხს, ხოლო მაღალმთიან აჭარაში - - 25.3%.

რესპონდენტების სქესის ჭრილში შედეგების განხილვისას იკვეთება, რომ ახმეტაში (პანკისი) მამაკაცებს (72,7%) მეტად ჰყავთ სხვა ეთნიკური იდენტობის მეგობრები, ვიდრე ქალებს (52,6%). მაღალმთიან აჭარაში მცირე სხვაობა იკვეთება (მამაკაცები - 28,7%; ქალები - 21,5%), ქვემო ქართლში კი სქესთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის.

- ქვემო ქართლის ახალგაზრდების 72.7%-მა მეგობრებად ეთნიკური სომხები დაასახელა, 67.1%-მა კი - ეთნიკური ქართველები.

- მაღალმთიან აჭარაში დასახელდა ეთნიკური რუსები (44.3%), ეთნიკური თურქები (34,9%) და ეთნიკური სომხები (22,9%).
- ახმეტაში (პანკისი) 99%-მა დაასახელა ეთნიკური ქართველი მეგობარი, ხოლო 5,2%-მა - ეთნიკური აზერბაიჯანელი.

**ცხრილი 16. გყავთ თუ არა საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი მეგობარი და რომელი? - რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაესახელებინათ რამოდენიმე პასუხი**

| ეთნიკური ჯგუფები | მთლიანი შერჩევა | ქვემო ქართლი | აჭარა | ახმეტა(პანკისი) |
|---|---|---|---|---|
| | % | % | % | % |
| ქართველები | 71,3% | 67,1% | - | 99,0% |
| სომხები | 25,4% | 72,7% | 22,9% | 1,3% |
| თურქები | 17,6% | 38,5% | 34,9% | ,3% |
| რუსები | 16,2% | 28,6% | 44,3% | ,7% |
| აზერბაიჯანელები | 5,9% | 1,2% | 14,7% | 5,2% |
| ირანელები | 1,7% | 2,5% | 2,8% | 1,0% |
| ჩეჩნები | 1,4% | 1,9% | ,9% | 1,3% |
| არაბები | 1,0% | 2,5% | ,9% | ,3% |
| ინგლისელები | 1,0% | 1,9% | 1,8% | ,3% |
| ინდოელები | 1,0% | 2,5% | 1,8% | - |
| ქურთები | 1,0% | 3,1% | ,9% | - |
| უკრაინელები | ,9% | ,6% | 3,7% | - |
| ინგილოები | ,7% | 2,5% | - | - |
| ბერძნები | ,5% | ,6% | 1,8% | - |
| გერმანელები | ,3% | ,6% | ,9% | - |
| ებრაელები | ,3% | ,6% | ,9% | - |
| პოლონელი | ,3% | - | 1,8% | - |
| უზბეკები | ,2% | ,6% | - | - |
| ამერიკელები | ,2% | ,6% | - | - |
| ქისტები | ,2% | ,6% | - | - |
| ლეკები | ,2% | - | ,9% | - |
| ინგუშები | ,2% | - | ,9% | - |
| ლიტველები | ,2% | - | ,9% | - |

რესპონდენტების მეოთხედზე მეტს (26.2%) ბოლო 6 თვის განმავლობაში ჰქონია პირდაპირი კონტაქტი (პირადი შეხვედრა) მეგობართან, რომელიც სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, მიეკუთვნება

სხვა აღმსარებლობას (60.7%), სხვა ეთნიკურ ჯგუფს (48.1%), ცხოვრობს სხვა რეგიონში (41.8%), ხოლო 74,9%-ს - სხვა სოფელში ან ქალაქში მცხოვრებ მეგობრებთან.

**დიაგრამა 49. ურთიერთობა მეგობრებთან ბოლო 6 თვის განმავლობაში**




სხვა ქვეყანაში მცხოვრებ მეგობრებთან კონტაქტი ყველაზე მეტად (37.8%) ქვემო ქართლში აქვთ, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან - მაღალმთიან აჭარაში (80.2%), ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი 61.7%-ია, ხოლო ახმეტაში (პანკისი) - 40.6%.

სხვა ეთნიკურ ჯგუფს მიკუთვნებულ მეგობართან ურთიერთობას ყველაზე ხშირად ასახელებენ ქვემო ქართლში (70.6%), მაღალმთიანი აჭარა - 49,7%, ახმეტა (პანკისი) – 37.4%.

სტატისტიკურად სანდო (P_value<0.05) განსხვავებებია პასუხებში სქესის მიხედვით ჭრილში. ცხრილში მოცემულია დადებითი პასუხების განაწილება კითხვაზე, ჰქონიათ თუ არა ბოლო 6 თვის მანძილზე პირდაპირი კონტაქტი მეგობართან რომელიც:

**ცხრილი 17. ურთიერთობა მეგობრებთან ბოლო 6 თვის განმავლობაში გენდერულ ჭრილში**

| | მდედრობითი (დიახ%) | მამრობითი (დიახ%) |
|---|---|---|
| **ცხოვრობს სხვა სოფელში ან ქალაქში** | 69.4 | 80.3 |
| **ცხოვრობს სხვა რეგიონში** | 36.0 | 47.5 |
| **მიეკუთვნება სხვა ეთნიკურ ჯგუფს** | 41.9 | 54.3 |
| **მიეკუთვნება სხვა აღმსარებლობას** | 54.5 | 66.9 |
| **ცხოვრობს სხვა ქვეყანაში** | 19.6 | 32.8 |

ზოგადად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტებს საკმაოდ მაღალი მიმღებლობა აქვთ სხვა ეთნიკური (საშუალო 4.79), რელიგიური ჯგუფებისა (4.76) და სქესის წარმომადგენლების

მიმართ (4.54)[16], ხოლო დაბალი - განსხვავებული სექსუალური იდენტობის ჯგუფების მიმართ (2,04%).

ახმეტაში(პანკისი) ყველა ჯგუფის მიმართ მიმღებლობა უფრო მაღალია, ხოლო სხვა სექსუალური იდენტობის ჯგუფების მიმართ - ყველაზე დაბალი (1.46). ქვემო ქართლსა (2.50) და მაღალმთიან აჭარაში (2,44) ამ ჯგუფის მიმართ მიმღებლობა ასევე დაბალია (განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია P_value<0.05).

ქვემო ქართლში სხვა სქესის წარმომადგენლების მიმართ მიმღებლობა უფრო დაბალია (3.53%), ვიდრე ახმეტასა(პანკისი) (4.78%) და მაღალმთიან აჭარაში (4,71%).

**დიაგრამა 50. დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფების მიმართ**




16 1- არ შემიძლია მათთან ურთიერთობა, 5 - ვფიქრობ, რომ ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან.

სქესის ჭრილში მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მამაკაცები ნაკლებად ტოლერანტულები არიან სხვა სექსუალური იდენტობის ჯგუფების მიმართ (საშუალო 1.85), ვიდრე ქალები (საშუალო 2.23).

შეკითხვაზე - გიგრძვნიათ თუ არა უხერხულობა საზოგადოებაში ქართული ენის აქცენტის გამო - ყველაზე მეტი დადებითი პასუხი ეთნიკურად აზერბაიჯანელებს შორის ქვემო ქართლში (42.5%) გამოიკვეთა, ახმეტის(პანკისი) შემთხვევაში ეს მონაცემი 21% იყო, მაღალმთიან აჭარაში კი ყველაზე მცირე - 2.8%. ქვემო ქართლში უხერხულობის მიზეზად ასევე საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დასახელდა ის ენა, რომელზეც საუბრობენ (34,8%), ეთნიკური წარმომავლობა (24.5%) და აღმსარებლობა (19.6%).

**დიაგრამა 51. ფაქტორები, რომლებიც უხერხულობას უქმნის რესპონდენტებს (მხოლოდ დადებითი პასუხები)**




შემთხვევებს, როცა ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოში აღმსარებლობის გამო უსამართლოდ მოექცნენ ადამიანებს, ყველაზე ხშირად ქვემო ქართლში (28,6%) იხსენებენ, რომელსაც მოსდევს მაღალმთიანი აჭარა (18,1%), ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი - ახმეტა (პანკისი) (4,8%). ზოგადად ქვემო ქართლში ყველაზე მაღალია იმ შემთხვევების მაჩვენებელი, რომელიც ბოლო 2 წლის მანძილზე სხვადასხვა მოტივით უსამართლო მოქცევასთან

ასოცირდება. ეს მოტივები კი თანხვედრაშია იმ ვითარებებთან, რომლებიც ქვემო ქართლის რესპონდენტებმა უხერხულობის შექმნის მიზეზებად დაასახელეს (იხ. დიაგრამა 51).

**დიაგრამა 52. უსამართლოდ მოქცევის საფუძვლები (მხოლოდ დადებითი პასუხები)**




## IV. რელიგია

რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (48.3%) ყოველ დღე მონაწილეობს რელიგიურ მსახურებაში.

ახმეტაში (პანკისში) რელიგიურ მსახურებაში ყოველდღე მონაწილეობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (92.6%), ხოლო ქვემო ქართლში, სტუდენტ რესპონდენტთა შორის - ყველაზე დაბალი (6%). ქვემო ქართლში რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის ყველაზე მაღალი სიხშირე თვეში ერთხელ (25.9%) ან კვირაში ერთხელაა (18.4%). მაღალმთიან აჭარაში რელიგიურ მსახურებაში ყოველ დღე მონაწილეობს 21.4%, ხოლო პასუხი "პრაქტიკულად არასდროს" დააფიქსირა მხოლოდ 1,2% -მა.

დიაგრამა 53. რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის სიხშირე  - მთლიანი მონაცემები და მონაცემები რეგიონულ ჭრილში



გამოვლინდა *სუსტი* კავშირი ორ ცვლადს - განათლების დონესა და რელიგიური რიტუალების შესრულების სიხშირეს - შორის. კერძოდ, რაც უფრო დაბალია განათლების საფეხური, მით უფრო ხშირად მონაწილეობენ რესპონდენტები რელიგიურ რიტუალებში (Spearman's rho=-0.305 P_value=0.000).

**დიაგრამა 54. კორელაცია განათლების დონესა და რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის სიხშირეს შორის**




ასევე გამოვლინდა სუსტი, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ორ ცვლადს შორის: ის რესპონდენტები, რომლებიც უფრო ხშირად ეცნობიან ახალ ამბებს სხვადასხვა წყაროებით, შედარებით იშვიათად მონაწილეობენ რელიგიურ რიტუალებში (Spearman's rho =-0,301** P_value<0.05).

კითხვაზე - თუ რამდენად ხშირად აქვთ ურთიერთობა სასულიერო პირებთან? - რესპონდენტები უმეტესად პასუხობენ, რომ თვეში ერთხელ ან ორჯერ (28%), 24,6%-ს - ყოველკვირეულად, 20,5%-ს კი საერთოდ არ აქვს.

ქვემო ქართლში ყველაზე მაღალია მათი მაჩვენებელი (39.8%), ვინც აცხადებს, რომ იშვიათად (თვეში ერთხელ ან ორჯერ) მაინც ურთიერთობს სასულიერო პირებთან, ამ მაჩვენებელს მცირედით ჩამორჩება მაღალმთიანი აჭარა (36,2%). ახმეტაში (პანკისი) კი ყველაზე მაღალია

იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი (38.8%), ვინც პასუხობს, რომ საერთოდ არ ურთიერთობს სასულიერო პირებთან.

**დიაგრამა 55. სასულიერო პირებთან ურთიერთობის სიხშირე**




კითხვაზე, თუ სად მონაწილეობენ რელიგიურ მსახურებაში, რესპონდენტებმა მეტწილად საკუთარი სახლი (78,7%) ან მეჩეთი (55.2%) დაასახელეს.

ახმეტასა (პანკისი) (91,8%) და მაღალმთიან აჭარაში (80,7%) ყველაზე მაღალია მათი რიცხვი, ვინც რელიგიურ მსახურებაში საკუთარ სახლში მონაწილეობს, ხოლო ქვემო ქართლში - მეჩეთში (75,5%).

**დიაგრამა 56. რელიგიური მსახურების ადგილები - შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის არჩევა**



რესპონდენტები უმეტეს შემთხვევაში (95,9%) ისლამის წესით ასრულებენ რელიგიურ მსახურებას და მხოლოდ 0,7% ამბობს, რომ სალაფიტურით, 3,4% ამ შეკითხვაზე საერთოდ არ პასუხობს. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ახმეტაში(პანკისი) ყველაზე მაღალი იყო იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი (4,8%), ვინც უარი თქვა დაესახელებინა, თუ რა წესით ასრულებს რელიგიურ მსახურებას.

**დიაგრამა 57. რელიგიური მსახურების წესი**[17]




კითხვაზე - თუ რამდენად საკმარისია არსებული მეჩეთები ადგილობრივ მორწმუნეთათვის რელიგიური მსახურების ჩასატარებლად - რესპონდენტთა უმრავლესობამ (95,8%) განაცხადა, რომ საკმარისია. თუმცა, ქვემო ქართლში პასუხი “არ არის საკმარისი” ყველა რეგიონზე მაღალი იყო (62.7%), ხოლო მაღალმთიან აჭარაში - 31,1%.

**დიაგრამა 58. საკმარისია თუ არა არსებული მეჩეთები რელიგიური მსახურების ჩასატარებლად**




[17] თვალსაჩინოების მიზნით Y ღერძზე მონაცემები განაწილებულია 90%-ის ზევით.

რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის მხრივ, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის თქმით (95,9%), მათ პრობლემები არ ექმნებათ და ასეთის არსებობას მხოლოდ 3.1% (N=37) ადასტურებს. ყველაზე მეტი რესპონდენტი ქვემო ქართლში აცხადებს, რომ მას რელიგიურ მსახურებაში პრობლემები ექმნება(7%), რომელსაც მაღალმთიანი აჭარა (4.2%) მოსდევს, ხოლო ყველა დაბალი მაჩვენებელი ამ მხრივ ახმეტაში (პანკისი) დასახელდა (0.4%).

დიაგრამა 59. **რელიგიური თავისუფლების მხრივ არსებული გარემო**




37 რესპონდენტიდან, ვინც რელიგიური მსახურების მხრივ არსებულ პრობლემებზე ისაუბრა, 24-მა კონკრეტული საფუძველი დაასახელა, ხოლო 13-მა უარი თქვა მიეთითებინა კონკრეტული მიზეზი: უმრავლესობამ (12) არასაკმარის მეჩეთებზე გაამახვილა ყურადღება, რვამ კი ხალხის მხრიდან აგრესიასა და შეურაცხყოფაზე.

ცხრილი 18. **რელიგიური მსახურების შესრულების მხრივ არსებული პრობლემები**

| რელიგიური მსახურების შესრულების მხრივ არსებული პრობლემები | N |
|---|---|
| არასაკმარისი მეჩეთები | 12 |
| აგრესია ხალხის მხრიდან/ შეურაცხყოფა | 8 |
| მეჩეთის სიშორე | 2 |
| აზანის წაკითხვის აკრძალვა | 1 |
| უსამართლო მოპყრობა მუსლიმი სასულიერო პირებისგან | 1 |
| უარი პასუხზე | 13 |

***რელიგიური განათლება.*** მთლიანობაში, რესპონდენტთა დიდ ნაწილს საჭიროდ მიაჩნია რელიგიური განათლების მიღება (85.9%). ახმეტაში(პანკისი) ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (95.8%), ქვემო ქართლში კი - ყველაზე დაბალი (75,6%).

დიაგრამა 60. **რელიგიური განათლების აუცილებლობა**




საერთო ჯამში, რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (46.3%) რელიგიურ განათლებას ხელმისაწვდომად აფასებს, 30.4% - უფრო ხელმისაწვდომად, ვიდრე არა, 14.7%-ისთვის რელიგიური განათლება უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი, ხოლო 8.1%-ისათვის ხელმისაწვდომი არ არის.
რელიგიური განათლება ყველაზე ხელმისაწვდომად მაღალმთიან აჭარაში (ხელმისაწვდომია - 59.2%; უფრო კი, ვიდრე არა - 30.3%) ფასდება, ყველაზე ნაკლებ ხელმისაწვდომად - ახმეტაში (პანკისი) (34.4% - ხელმისაწვდომია; 32,8% - უფრო კი, ვიდრე არა).

დიაგრამა 61. **რელიგიური განათლების ხელმისაწვდომობა**



კითხვაზე - გაქვთ თუ არა რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობა - რესპონდენტთა 78.7% პასუხობს დადებითად, ხოლო 20.4% - უარყოფითად, 0.9%-მა (11 რესპონდენტი) კითხვას საერთოდ არ უპასუხა.

მთიან აჭარაში ყველაზე მაღალია მათი მაჩვენებელი (89,9%), ვინც აცხადებს, რომ რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობა აქვს, ხოლო ქვემო ქართლში სხვა რეგიონებთან შედარებით - დაბალი (65.7%). ახმეტაში (პანკისი) 26,2% აცხადებს, რომ ასეთი განათლების მიღების შესაძლებლობა არა აქვს, 1,2% კი თავს იკავებს პასუხისგან.

დიაგრამა 62. **რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობები**




მუსლიმი ახალგაზრდებისთვის რელიგიური განათლების მისაღებად არსებულ ფორმალურ შესაძლებლობად ძირითადად მედრესა (66,9%) და უცხოეთში სასწავლებლად წასვლა (34.5%) დასახელდა.

ქვემო ქართლში რელიგიური განათლების მიღების ყველაზე მაღალ შესაძლებლობად (77,1%) მედრესა დასახელდა, უცხოეთში სასწავლებლად წასვლის მონაცემი კი ყველაზე მაღალი ახმეტის (პანკისის) შემთხვევაში (38,2%), მედრესას შემდეგ (61,2%) იყო. მაღალმთიან აჭარაში მედრესას (68,5%) შემდეგ ყველაზე მაღალი მონაცემი დაფიქსირდა კერძო პანსიონის შემთხვევაში (57,2%), რომელიც მკვეთრად აღემატება სხვა რეგიონის მონაცემებს.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური პროზელიტიზმი საჯარო სკოლებში კანონმდებლობით არის აკრძალული, როგორც ქვემო ქართლის (10,4%), ასევე მაღალმთიანი აჭარის (8,1%) შემთხვევაში რესპონდენტებმა რელიგიური განათლების მიღების ადგილად სწორედ საჯარო სკოლა დაასახელეს.

**დიაგრამა 63. რელიგიური განათლების მიღების გზები**




რელიგიურ საკითხებზე ინფორმაციის მიღების სხვა დამატებით წყაროებად დასახელდა ოჯახი (79,9%), თვითგანათლება (34,9%) და მეგობრები (29.8%). ასევე დასახელდა სოციალური ქსელები (26.3%) და ონლაინ მედია (19,1%).

ოჯახი, როგორც რელიგიური განათლების მიღების დამატებითი წყარო, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით დასახელდა ახმეტაში (პანკისი) - 82,4%, რასაც მოსდევს მაღალმთიანი აჭარა- 80,8% და ქვემო ქართლი - 71.6%.

ახმეტაში(პანკისი) ასევე ყველაზე მაღალია მეგობრების, როგორც რელიგიის შესახებ ინფორმაციის მიღების დამატებითი რესურსი- 47%. მაღალმთიან აჭარაში ამ მხრივ მეორე ადგილზეა თვითგანათლება, ხოლო ქვემო ქართლში - ონლაინ მედია (38.3%), რასაც უცხოეთში მცხოვრები რელიგიური ლიდერები (33.3%) მოსდევს.

თუ ქვემო ქართლში ყველაზე მაღალია ონლაინ მედიით რელიგიური ინფორმაციის მიღების მაჩვენებელი (38,3%), სოციალურ ქსელებს ყველაზე ხშირად ამ მიზნით ახმეტაში (პანკისი) ასახელებენ (39 %).

**დიაგრამა 64. რელიგიურ საკითხებზე ინფორმაციის მიღების დამატებითი არხები**




39 შემთხვევაში დასახელდა ქვეყნები, სადაც ცხოვრობენ რელიგიური ლიდერები, ვინც რელიგიურ საკითხებზე ქართველი მუსლიმების ინფორმირების წყაროა (იხ. ცხრილი 19):

**ცხრილი 19. უცხოეთში მცხოვრები რელიგიური ლიდერები - რელიგიური განათლების წყარო**

| უცხოეთში მცხოვრები რელიგიური ლიდერები - რელიგიური განათლების მიღების წყარო | რაოდენობა |
|---|---|
| თურქეთი | 29 |
| აზერბაიჯანი | 14 |
| ირანი | 5 |
| ერთ-ერთი არაბული ქვეყანა (არ დააკონკრეტეს) | 3 |
| სირია | 1 |

განსხვავება დაფიქსირდა ბიჭებისა და გოგონების პასუხებში, გოგონები ბიჭებთან შედარებით, ნაკლებად ასახელებენ რელიგიური საკითხების შესახებ ინფორმაციის წყაროდ იმ რელიგიურ ლიდერებს, რომლებიც არ ცხოვრობენ საქართველოში (გოგო -10%, ბიჭი -16,4%) და თვითგანათლებას (გოგო -32,2%, ბიჭი 37,6%) და მეტად ასახელებენ ოჯახს (გოგო -81,4%, ბიჭი - 78,5%).

**დიაგრამა 65. რელიგიურ საკითხებზე ინფორმაციის მიღების დამატებითი არხები გენდერულ ჭრილში**




ასაკობრივ ჭრილში მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ რელიგიის შესახებ ინფორმაციას თვითგანათლებით ყველაზე მეტად 16-18 წლის ახალგაზრდები იღებენ (41,1%); სოციალური ქსელებით - 21-25 წლის (29,6%); უცხოეთში მცხოვრები რელიგიური ლიდერებისგან - 19-20 წლის (21,1%).

**დიაგრამა 66. რელიგიურ საკითხებზე ინფორმაციის მიღების დამატებითი არხები ასაკობრივ ჭრილში**




რესპონდენტების მიერ რელიგიური განათლების მიღება ქალებისა და მამაკაცებისთვის უმეტესად თანაბრად (96,3) მნიშვნელოვნად შეფასდა.

***რელიგიური უფლებები.*** შეკითხვაზე - თუ საიდან იღებენ რესპონდენტები ინფორმაციას სხვადასხვა რელიგიური კონფესიების უფლებების შესახებ? - უმრავლესობა ოჯახს (49.5%) ასახელებს, რასაც მოსდევს მეგობრები - 38.4%, სოციალური მედია - 30.8% და რელიგიური ლიდერები - 19.2%. ეროვნული დაფარვის მედიის წილი ამ შემთხვევაში 11.5%, ადგილობრივის - 8.8%, არასამთავრობო ორგანიზაციების - 0,9%-ია.

ახმეტაში (პანკისი) რელიგიური უფლებების შესახებ ინფორმაციის წყაროდ პირველ ადგილზეა მეგობრები (49.1%) და შემდეგ ოჯახი (45.2%) მაშინ, როცა სხვა რეგიონებში დომინირებს ოჯახი (ქვემო ქართლი - 54,5%, მაღალმთიანი აჭარა - 51,9%). მაღალმთიან აჭარაში ოჯახის შემდეგ ყველაზე მეტად რელიგიური ლიდერები (31.7%) სახელდება, ხოლო ქვემო ქართლში - სოციალური მედია (44,4%). არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ 11 რესპონდენტმა დაასახელა (2 - ქვემო ქართლი, 5 - მაღალმთიანი აჭარა, 4 ახმეტა(პანკისი), სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის საბჭო - 2-მა (მაღალმთიანი აჭარიდან).

**დიაგრამა 67. რელიგიური კონფესიების უფლებების შესახებ ინფორმაციის წყაროები**




მთლიანობაში, რესპონდენტთა თითქმის მეხუთედი (19,3%) თვლის, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური კონფესიების უფლებები ირღვევა, აქედან ყველაზე მეტად ამ მოსაზრებას მაღალმთიან აჭარასა (31,1%) და ქვემო ქართლში (30,8%) იზიარებენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად - ახმეტაში (პანკისი) (2.8%).

**დიაგრამა 68. საქართველოში რელიგიური კონფესიების უფლებების დაცულობა**




შეკითხვაზე - თუ ვისი მხრიდან ირღვევა საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა უფლებები? - უმრავლესობა (51,9%) სხვა რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქეებს ასახელებს, რასაც თითქმის თანაბარი მაჩვენებლით მოსდევს: სხვა კონფესიის რელიგიური ლიდერები (15,9%), მედია (15,5%), ადგილობრივი ხელისუფლება (15,5%).

მაღალმთიან აჭარაში ყველაზე მაღალია მათი რიცხვი, ვინც რელიგიური კონფესიების უფლებების დარღვევის მიზეზად სხვა რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქეებს (65%), ასევე სხვა კონფესიების რელიგიურ ლიდერებს (17,2%) ასახელებს.

ქვემო ქართლში ყველაზე ხშირად დასახელდა მედია (48,4%) და ადგილობრივი ხელისუფლება (25,8%), ხოლო ახმეტაში (პანკისი) სხვა აღმსარებლობის მოქალაქეების (42,9%) შემდეგ დაასახელეს პოლიცია (28,6%).

მასწავლებლები, როგორც სხვა რელიგიური კონფესიების უფლებების ხელყოფის წყარო, ქვემო ქართლში 24,2%-მა დაასახელა, ხოლო ახმეტაში(პანკისი) - 14,3%-მა. ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ამ მხრივ ყველაზე კრიტიკული მაღალმთიანი აჭარა (12,7%) და ქვემო ქართლი (11,3%) იყო.

## დიაგრამა 69. რელიგიური უფლებების ხელყოფის წყაროები



კითხვაზე - თუ ვის მიმართავენ რესპონდენტები იმ შემთხვევაში, თუკი მათი კონსტიტუციური უფლება რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ ირღვევა/დაირღვევა - 24%-მა რელიგიურ ლიდერი დაასახელა, 23,3%-მა - პოლიცია, 19%-მა - არავინ.

ახმეტაში (პანკისი) ყველაზე მაღალია მათი მაჩვენებელი, ვინც ასეთ შეთხვევაში რელიგიურ ლიდერს მიმართავს (42,2%), აქ შემდეგ ადგილზეა პოლიცია (25%) და სასამართლო (14%). მაღალმთიან აჭარაში ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტებისადმი სკეპტიციზმი ყველაზე მაღალია და 34,3% პასუხობს, რომ არავის მიმართავს. მაღალმთიანი აჭარის შემთხვევაში რელიგიურ ლიდერებს (12,9%) პოლიცია (17,8%) უსწრებს. სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, პოლიციისადმი მიმართვას ყველაზე მეტად ასახელებენ ქვემო ქართლში (32,8%), სადაც შემდეგ ადგილზეა სასამართლო (22,9%), ხოლო ის, ვინც არავის მიმართავს - 17,4%. რელიგიური ლიდერებისადმი მიმართვა ქვემო ქართლში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით (6,5%) დასახელდა.

**დიაგრამა 70. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები, რომელთაც რელიგიური უფლებები ხელყოფის შემთხვევაში რესპონდენტები მიმართავდნენ**



## V. პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია

***არჩევნები.*** საარჩევნო ასაკის[18] მქონე რესპონდენტების  უმრავლესობა (63,9%) აცხადებს, რომ ყოველთვის მონაწილეობს არჩევნებში, 7,7% - უმეტესად მონაწილეობს,  9,6% - იშვიათად, ხოლო 18,4% -ს არასდროს მიუღია მონაწილეობა.

ქვემო ქართლში საარჩევნო აქტივობა უფრო დაბალია (52,2%), ვიდრე ახმეტასა(პანკისი) (61,9%) და მაღალმთიან აჭარაში (71,9% ).

**დიაგრამა 71. საარჩევნო აქტივობა**




მთლიანობაში, რესპონდენტთა 76.5% ფიქრობს, რომ მისმა ხმამ შეიძლება არჩევნების შედეგებზე იმოქმედოს. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მაღალმთიან აჭარაში (84.4%), ხოლო ყველაზე დაბალი - ახმეტაში (პანკისი) (69.6%).

**დიაგრამა 72. დამოკიდებულება საარჩევნო პროცესის მიმართ**




[18] 18 წლიდან

***პოლიტიკური ინტეგრაცია.*** შეკითხვაზე - ბოლო 2 წლის განმავლობაში რომელ სახელისუფლებო უწყებასთან გქონიათ ურთიერთობა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასთან? - რესპონდენტებმა, ვისაც ასეთი ურთიერთობა ჰქონია, ყველაზე ხშირად სოფლის რწმუნებული (22.9%), გამგეობა (19%), განათლების სამინისტრო (14.9%) და ადგილობრივი საკრებულო (14,1%) დაასახელეს.

ქვემო ქართლში ყველაზე მაღალია განათლების სამინისტროსთან ურთიერთობის მაჩვენებელი (39,3%), რაც მათი სპეციფიური შერჩევით (სტუდენტები) შეიძლება აიხსნას. ქვემო ქართლში ასევე სხვა რეგიონებზე მაღალია გამგეობასთან ურთიერთობის მონაცემი (28,9%), რასაც სოფლის რწმუნებული (18.9%) მოსდევს.

სოფლის რწმუნებულთან ურთიერთობა ყველაზე მაღალია ასევე მაღალმთიან აჭარასა (24,8%) და ახმეტაში (პანკისი) (22.6%).

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (17,4%), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტრო (11,9%), ასევე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (10,9%), სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მეტად ქვემო ქართშლის შემთხვევაში დასახელდა.

**დიაგრამა 73. ურთიერთობა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბოლო 2 წლის განმავლობაში - მხოლოდ დადებითი პასუხები**



***ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის შეფასება.*** რესპონდენტებმა 5 ბალიან სკალაზე[19] მუსლიმი თემის მიმართ ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის ქმედითობა საშუალო ქულით (3.4) შეაფასეს. ყველაზე მაღალი ქულით ცენტრალური ხელისუფლების ქმედებები ახმეტაში (პანკისი) შეფასდა (3,6), ყველაზე დაბალით - ქვემო ქართლში (3,2).

**დიაგრამა 74. ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის  შეფასება**




კითხვაზე - რა საშუალებით იღებენ ინფორმაციას რესპონდენტები ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივებისა თუ განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესახებ? - მთლიანობაში, რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა ახლობლები/ნაცნობები (53,6%) და მედია (52,4%) დაასახელა.

ახმეტაში (პანკისი) ყველაზე მაღალია მათი რიცხვი, ვინც ასეთ ინფორმაციას ახლობლებისა და ნაცნობებისგან პირდაპირი კომუნიკაციის გზით იღებს (71,6%), ხოლო მაღალმთიან აჭარასა (63,4%) და ქვემო ქართლში (58,2%) - მედიით. ქვემო ქართლში ასევე საკმაოდ მაღალია მათი რიცხვი, ვინც ოფიციალურ ინფორმაციას ცენტრალური ხელისუფლების უწყებების სოციალური გვერდებიდან (57,7%) იღებს.

[19] 1 - საერთოდ არ არის ქმედითი, 5 - ქმედითია.

**დიაგრამა 75. ინფორმაციის წყაროები ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის შესახებ - შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის არჩევა**



რესპონდენტების 68.4%-მა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მას აქვს შესაძლებლობა, დაუკავშირდეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების შემთხვევაში - დადებითი პასუხი 43,7%-მა გასცა. ყველაზე დიდი სხვაობა ამ მხრივ მაღალმთიანი აჭარის (73.5% - ადგილობრივი ხელისუფლება, 31,7% - ცენტრალური ხელისუფლება) შემთხვევაში გამოიკვეთა, ყველაზე ნაკლები - ქვემო ქართლის (45.8% - ცენტრალური ხელისუფლება, 54.2% - ადგილობრივი), რაც პირველ შემთხვევაში გეოგრაფიული სიშორით, მეორე შემთხვევაში კი დედაქალაქთან გეოგრაფიული სიახლოვით შეიძლება აიხსნას.

**დიაგრამა 76. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის შესაძლებლობა - მხოლოდ დადებითი პასუხები**




საკუთარი თემის/სოფლის/დასახლების საქმეებით დაინტერესება რესპონდენტებმა 4 ბალიან სკალაზე[20] სამივე რეგიონში საშუალოზე მაღალი ქულით (2,95) შეაფასეს.

[20] 4-ძალიან დაინტერესებული, 1 - საერთოდ არ ვარ დაინტერესებული.

**დიაგრამა 77. თემის / სოფლის/დასახლების საქმეებით დაინტერესების ხარისხი რეგიონების ჭრილი, საშუალო**




რესპონდენტებმა ასევე 4 ბალიან სკალაზე[21] შეაფასეს თავიანთი ჩართულობა ქალაქის/სოფლის/დასახლების საქმეებში, რაც დაინტერესების საშუალო მაჩვენებელზე (2,95) შედარებით დაბალი (1,99) აღმოჩნდა. ყველაზე დაბალი ჩართულობა ახმეტაში (პანკისი) (1,62) იყო, ყველაზე მაღალი - ქვემო ქართლში (2,63).

გამოვლინდა, ***სუსტი*** მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ორ ცვლადს შორის: რაც უფრო მაღალია ქალაქის/სოფლის/დასახლების საქმეებში ჩართულობის ხარისხი, მით უფრო ნაკლებია რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მაჩვენებელი (Spearman's rho=-0.252** Sig. (2-tailed)<0.05).

**დიაგრამა 78. ჩართულობის ხარისხი ქალაქის/სოფლის/დასახლების საქმეებში რეგიონული ჭრილი**




[21] 4- ძალიან ჩართული ვარ, 1 - საერთოდ არ ვარ ჩართული.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა შედეგებში გენდერულ ჭრილშიც. (P_value<0.05) გოგონები (1,76) ნაკლებად ჩართულად მიიჩნევენ თავს ქალაქის/სოფლის/დასახლების საქმეებში, ვიდრე ბიჭები (2,20).

**დიაგრამა 79. ჩართულობა ქალაქის/სოფლის/დასახლების საქმეებში გენდერულ ჭრილში**




გენდერულ ჭრილში ჩართულობის შეფასებისას, რესპონდენტების ნახევარზე მეტმა (56,1%) აღნიშნა, რომ მამაკაცები მეტად არიან ჩართულნი ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 25,8%-ის აზრით კი - თანაბრად, 15,9%-ს გაუჭირდა შეფასება, ხოლო 2.2%-მა განაცხადა, რომ ჩართულობის ხარისხი ქალების შემთხვევაში უფრო მაღალია.

***სამოქალაქო აქტივობა.*** შეკითხვაზე - მიუღიათ თუ არა რაიმე ტიპის სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობა - მხოლოდ 659 რესპონდენტმა ანუ 54,6%-მა გასცა დადებითი პასუხი.

**ცხრილი 20.**

| ქვემო ქართლი | მთიანი აჭარა | ახმეტა (პანკისი) |
|---|---|---|
| 169 რესპონდენტი (84,1%) | 268 რესპონდენტი (53,1%) | 222 რესპონდენტი (44,4%) |

შეკითხვაზე - თუ რომელ აქტივობაში მიუღიათ მონაწილეობა? - 50.5%-მა გარემოსდაცვითი საქმიანობა დაასახელა, რასაც სპორტული ღონისძიებები (39%), ინტელექტუალური თამაშები (29,6%) და საქველმოქმედო აქციები (15,2%) მოსდევს. ყველაზე ნაკლებად რესპონდენტებს მონაწილეობა გაეროს მოდელირებაში (0,5%), გაზეთის გამოცემაში (0,5%), სკაუტური მოძრაობის აქტივობაში (0,6%) და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისკენ მიმართულ ღონისძიებებში (1,4%) მიუღიათ.

**დიაგრამა 80. აქტივობები, რომლებშიც რესპონდენტებს მიუღიათ მონაწილეობა - პასუხები დათვლილია მათ შორის, ვისაც მიუღია მონაწილეობა - კითხვაზე შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის გაცემა.**




თუ ახმეტასა (პანკისი) (70,3%) და ქვემო ქართლში (47,9%) ყველაზე მეტად დასახელდა გარემოსდაცვითი საქმიანობა, მაღალმთიან აჭარაში პირველ ადგილზეა სპორტული

ღონისძიებები (46.3%). მაღალმთიან აჭარაში ასევე სხვა რეგიონებზე მაღალი იყო სათემო კრებები (25%) და საქველმოქმედო აქციები (25%).

ქვემო ქართლში (44,4%) მეორე ადგილზე ინტელექტუალური თამაშები დასახელდა, ხოლო ახმეტაში (პანკისი) - სპორტული ღონისძიებები (31,1%). სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლში მეტად დასახელდა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები (10.7%), რაც სტუდენტების სამოქალაქო აქტივობის პროგრამებში ჩართულობით შეიძლება აიხსნას[22].

გამოვლინდა სუსტი კავშირი ორ ცვლადს შორის: რაც უფრო მაღალია რესპონდენტის სამოქალაქო აქტივობის ხარისხი, მით ნაკლებად მონაწილეობს ის რელიგიურ რიტუალებში (Spearman's rho=-0.273** P_value=0.000).

**დიაგრამა 81. კორელაცია სამოქალაქო აქტივობასა და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობას შორის.**




## IV. დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხების მიმართ

5 ბალიან სკალაზე[23] საგარეო პოლიტიკის საკითხების შეფასებისას ერთიან მონაცემებში თითქმის თანაბარი მხარდაჭერით სარგებლობს საქართველოს ევროკავშირსა (3,90) და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების (3,89) ინიციატივა და ყველაზე ნაკლებ მხარდაჭერილია ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის იდეა (2,63).

ქვემო ქართლსა (ნატო -4,20, ევროკავშირი -4,01) და მაღალმთიან აჭარაში (ნატო-3,91, ევროკავშირი -3,76) ნატოში გაწევრიანება მცირედით აღემატება ევროკავშირის მხარდაჭერას, ახმეტის(პანკისი) შემთხვევაში კი პირიქით (ევროკავშირი - 3.98, ნატო - 3.76).

საშუალოზე მაღალია ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა ქვემო ქართლში (3), მაღალმთიან აჭარაში - საშუალოზე ოდნავ მაღალი (2,65), ახმეტაში (პანკისი) კი - საშუალოზე ოდნავ დაბალი (2.47).

[22] USAID-ის მხარდაჭერილი პროგრამის (PITA) ფარგლებში UNAG-მა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2 ახალგაზრდული ცენტრი გახსნა, რომლებიც სამოქალაქო აქტივიზმისა და ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობენ.

[23] 1 - საერთოდ არ ვუჭერ მხარს, 5 - სრულად ვუჭერ მხარს.

**დიაგრამა 82.** **საგარეო პოლიტიკის საკითხები**




გამოვლინდა ***სუსტი*** კავშირი ორ ცვლადს შორის, კერძოდ, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის სიხშირესა და დამოკიდებულებას საგარეო პრიორიტეტების მიმართ. რაც უფრო ხშირად მონაწილეობენ რელიგიურ რიტუალებში რესპონდენტები, მით ნაკლებად არიან ნატოში გაწევრიანების მომხრეები. (Spearman's rho=-0.135**P_value<0.05).

**დიაგრამა 83.** **საერთაშორისო გაერთიანებებში გაწევრიანების მიმართ დამოკიდებულება**

